



La Géorgie
 Indépendante
 Revue mensuelle
 JANVIER
 1928—№ 25

იანვარი
 1928 წ.
 № 25

დამოუკიდებელი საქართველო


საქართველს პოლიტიკური პარტიების დროება.

მონათხი:

მკთაუნი—ჩვენი პერსპექტივები.
 ს. ფინცხალავა—ტფილისის უნივერსიტეტი.
 ა. ჩხენკელი—ტფილისის უნივერსიტეტის დაარსება.
 ბ-ნ ნ. ყორდანიას დაბადების 60 წლის თავი.
 ს.—ძე—საქართველო-რუსეთის კოლონია.
 ილია ნუცუბიძე—ახალი წელი.

Ed. Ch.—სისხლის საფასური.
 ემილ შტრაუსი—უკრაინელთა გამათავის. ბრძოლა.
 უცხოეთის მიმოხილვა.
 ირ. წერეთელი შვეციაში.
 საშინელება.
 ქართველები საფრანგეთში.

ტფილისის უნივერსიტეტი.



ჩვენი პერსპექტივები.

მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ერთხელ კიდევ გაუღიმა ჩაგრულ ერებს ბედმა; მთელი რიგი მათ შორის განთავისუფლდა უცხოეთის უღლისაგან და შეუდგა საკუთარ ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობას. შეიძლება ითქვას, ევროპაში დასრულდა ერთა სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბების პროცესი, თვითეული ერი ასე თუ ისე ჩადგა თავის ბუნებრივ კალაპოტში და, თუ კიდევ დარჩა რამე სადაო, ეს ეხება საზღვრების შესწორებას ან კიდევ ეროვნულ უმცირესობათა დაცვას.
 ეს პროცესი ევროპაზეც არ შეჩერდა. აზიაში განთავისუფლდა მთელი რიგი, არაბთა მოდგმის,

ერებისა (პეჯასი, ირაკი, იემენი, პალესტინა, სირია), რომელთა შორის, მართალია, ზოგიერთი მანდატის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ დროებით. ოსმალეთი განთავისუფლდა «კაპიტულაციებისაგან» და რესპუბლიკად იქცა. სპარსეთმა თავი დააღწია «გავლენის ზონებს» და განახლების გზას დაადგა. ავღანისტანი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდა. უნდა ვახსენოთ დიდი ჩინეთიც, რომელიც ეროვნულ დუღილშია ამ ყაზად და საცაა მოველინება ქვეყნიერებას, როგორც მთლიანი, ერთი ნების-ყოფის მატარებელი ბუმბერაზი.
 აფრიკაშიც იგივე მიდრეკილება სუფევს. სმელთა



შუა ზღვის ნაპირებზედ მდებარე ქვეყნები დიდ აქტივობას იჩენენ, მათ შორის ევვიპტე უკვე დამოუკიდებელია და დღეს თუ ხვალ საბოლოო მოდუს გამოიმუშავებს ინგლისთან. რადგან ინგლისი ვახსენეთ, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ახალი განწყობილება, რომელიც დამყარდა მას და მის დომინიონებ შორის. უკანასკნელნი (სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, ირლანდია) გაუთანაწორდენ მეტროპოლის უფლება-მოვალეობით და მათ აკავშირებს მხოლოდ ერთი მეფე, რომელიც «მეფობს და არ მართავს». ესლა ჯერი დიდ ინდოეთზე მიდვა, რომელიც, თუმცა სარგებლობს ადგილობრივი კანონმდებლობით, მაგრამ ინგლისის ოპეკის ქვეშ, და ამიტომ ისიც გაუთანაწორდება ალბათ დანარჩენ დომინიონებს 1929 წ., როცა უნდა გადასინჯონ მისი დღევანდელი სტატუსი.

თავის თავათ ცხადია, რომ ყოფილი რუსეთის იმპერია ცერ ვადაურჩებოდა ამ ძილაკრ განმათავისუფლებელ ტალას. დიდ ომში სასტიკმა დამარცხებამ მას ჩაუთლწა გვერდი დასავლეთ-ჩრდილოეთით და კიდევ პეტრე დიდის მიერ დაწყებული ანექსიები დიდ ნაწილათ ისტორიას ჩაბარდა. ჩვენ ვხედავთ ახლათ აღდგენილ დიდ პოლონეთს, ლიტვას და ფინლანდიას, ერთის მხრით, და პირველათ დაარსებულ თავისუფალ ლატვიას და ესტონიას, მეორეს მხრით.

ვერ მოხვდა ამ რჩეულთა რიგში დიდი უკრაინა, მდადარი წარსულით და უტყუარი მომავლით. მაგრამ რაც ყველაზე საყურადღებოა—ეს ის, რომ მოწყვეტილი ვერ წოდ. «ფანჯარას დასავლეთით»—ბალტიის ზღვას. ველიკოროსია ახერხებს კავკასიის შენარჩუნებას, იმ კავკასიის, რომელიც არ იყო მისთვის ისე აუცილებელი, როგორც ცენტრისგან სამი ათას ვერსტით დაშორებული სრულიად განსხვავებული ორგანიზმი. გარნა ვეროპამ დააფასა კავკასიის ეს განსაკუთრებული მდგომარეობა და იცნო კიდევ იქ დაარსებული რესპუბლიკები. მათ შორის ჩვენი სამშობლო, მაგ., წინ მიუძღოდა თვით ბალტიის რესპუბლიკებს ერთა ლიგაში დაშვების საკითხში, და საგულისხმიერა ისიც, რომ რუსეთისგან გამოყოფილ დიდ და პატარა რესპუბლიკებ შორის საქართველო პირველი იყო, რომელმაც მიიღო თავისი დაწერილი კონსტიტუცია.

მოსკოვმა ლახვარი ჩასცა კავკასიის რესპუბლიკებს. ჩვენ ვიცით, როგორ დავგატყდა თავზედ ეს უბედურება. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ჩვენ შორს დავრჩით, გეოგრაფიულად, იმ საერთაშორისო ასპარეზიდან, სადაც თვითველ ერთი ბედი და უბედობა წყდება. ჩვენ ერთხელ კიდევ, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ვიწინეთ ვეროპისგან ძალათ ჩამოხლეჩის საბედისწერო შედეგი. ჩაკეტილნი შავ ზღვაში, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება სათანადო როლი გვეთამაშნა ვეროპის თათბირში. ამას ხელს უშლიდა, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ ჩვენსა და ვეროპას შორის მდებარე ოსმალეთი, თვითონაც ჩაბმული სამეკიდრ-სასიცოცხლე ბრძოლაში, ჩვენი მტრის მხარეზედ აღმოჩნდა...

ისმის კითხვა: დარჩება უცვლელი დღევანდელი

საზღვრები? კავკასიის ყელი, ეს ვეროპა-აზიის ხიდი, იქცევა იმ მიჯნად, რომლის წინ უნდა შეჩერდეს ერთა სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბების პროცესი? არა, ცხადია! ილიას ფრაზის არ იყო, რუსეთი («წითელი კოჭი») არ არის, რომ გამოჩაქლისი გახდეს საერთო წესიდან. ეს ჩვენ დავინახეთ მის დასავლეთ-ჩრდილოეთით, იგივე მოუვა სამხრეთით.

ბოლშევიკებს თავი მოაქეთ, აღმოსავლეთის ერებს კაპიტალისტების იმპერიალიზმისაგან ვანთავისუფლებთო. ჩვენ ვიცით, რა ფასი აქვს ამ ფლიდემდობას, მაგრამ ერთში ისინი მართალი არიან: ეროვნულ თავისუფლების იდეამ მართლა პირველი ადგილი დაიჭირა მთელს აღმოსავლეთში. ეს ხომ ზევითაც დავინახეთ ქვეყნების უბრალო ჩამოთვლით, და განათვით ბოლშევიკებიც ამიტომ არ ებღუჯებიან ამ იდეას! ე. ი., დედა-მიწის ხუთივე ნაწილში ერები, თვით ფერად-კანანებიც, უნდა განთავისუფლდენ, ხოლო ს. ს. რ. კ—ში მომწყვეტულ ერებს ასეთი ბედი არ უწერია!

ყოველ შემთხვევაში, გარდა ზოგად მოსახრებისა, ჩვენ ვემყარებით საერთაშორისო ძალათა რეალურ განწყობილებას. ჩვენ ვთქვით. კავკასია შორს დარჩა გადაწყვეტ ასპარეზიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს სულაც, რომ მომავალშიც ასე იქნება. რაც დრო გადის, უფრო აშკარავდება, რომ კავკასია ვეროპის ეკონომიაში შედის ორგანიულათ. ჯერ თვით საბჭოთა მახინჯ რეჟიმის დროსაც კავკასიის ნაწარმოები მეტნაწილათ ვეროპასა და ამერიკაში გააქეთ. მეორეს მხრით, თავის თავათ ცხადია, თუ რამდენათ არის დანიტერესებული კავკასია იმავე ვეროპა-ამერიკიდან შემოიტანოს იაფი და ვარგისი ფაბრიკატები.

რაც ეკონომიაშია: იგივეა პოლიტიკაშიც. დღიდან დაარსებისა ჩვენმა რესპუბლიკებმა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ნიმუშები ვეროპიდან აიღეს და მთელის ძალ-ღონით ცდილობდენ ერთა ლიგაში შესვლას. თუ წინეთ ბევრისთვის უცნობი იყო, დღეს ხომ ყველამ ვიცით, რომ განათლებულ კაცობრიობასთან უშუალო დამოკიდებულება დიდ მომავალს უშნადებს კავკასიის ერებს ნივთიერ და გონებრივ აღორძინებისათვის. ვეროპის გონებრივ საუნჯის რუსეთის მიერ ნაცოხნის კიდევ გადაცოხნა ზარალს უფრო მოგვიტანს, ვინემ მოგებას. ჩვენ განზე ვტოვებთ ბოლშევიკების გამანადგურებელ გავლენას ჩვენი კულტურულ განვითარებაზე.

ოსმალეთიც იმავე გავეროპილების გზას დაადგა. მისი დღევანდელი «მეგობრობა» მოსკოვთან ვერ დამალავს დიდ წინააღმდეგობას მათ შორის. როგორ ფიქრობთ, რუსეთი, მოწყვეტილი ბალტიის ზღვას და იმავე ხიფათის წინაშე დიდ ოკეანეში, განა შეასუსტებს თავის მისწრაფებას ხმელთა-შუა ზღვისაკენ, თუ, სრულიად წინააღმდეგ, გააძლიერებს მას? ამ კითხვაზე კიდევ ღონანაში მივიღეთ გარკვეული პასუხი, სადაც ისმეთ ფაშა დემონსტრაციულათ მიემხრო კერზონის აზრს სრუტეების ინტერნაციონალიზაციის შესახებ, ნაცვლათ მათი ოსმალეთისთვის მისაკუთრებისა. რასაც ასე გააფთრებთ მოითხოვდა ჩიჩერინი. ეს აქტი განუხრამელი მნიშვნელობის არის, იმავე დროს, ჩვენთვის, რადგან ჩაინგრა მე-15



საუკუნიდან ამართული კედელი დაკავკასიის გზა გა-
ეხსნა ვეროპისაკენ. არც სრუტეების კონვენციის ავ-
ტორებს დაუშალავთ ეს, ვინაიდან მათ ადგილი და-
უტოვეს საქართველოს და უკრაინას აღმასრულებელ
ორგანოში, მზგავსათ შავი ზღვის სხვა სახელმწიფო-
ებისა.

კავკასია რუსეთის ექსპანსიის ბაზაა არა მარტო
ოსმალეთის, არამედ სპარსეთის მიმართაც. სპარსე-
თი, ამის გარდა, მოკლებულია უახლოეს და უიაფეს
გზას კავკასიით თავის ნაწარმოების დასავლეთი-
სკენ გასატანათ და სამაგიერო საქონლის შემოსატა-
ნათ იქიდანვე. სანამ რუსეთი ბატონობს კავკასიაში,
ჩვენც ხომ მოკლებული ვიქნებით საშუალებას არა
მარტო დაუუკავშირდეთ მსოფლიო ბაზარს, არამედ
ვისარგებლოთ იმ დიდი მოგებით, რომელსაც დატო-
ვებდა სპარსეთის და შუა აზიის ალებ-მიცემობა ჩვე-
ნის გზით.

არის შესამე დიდი ქვეყანაც, ჩვენსავე მდგომარე-
ობაში დღეს—უკრაინა, რომელიც გეოგრაფიულათ
ნამდვილი ზურგია კავკასიისთვის, ველოკოროსიის
მხრით. ანგარიში ჩასადებია აგრეთვე ყაზახობა
თერგის, ყუბანის და თვით დონის. მაგრამ მარტო
თავისუფალი უკრაინაც დიდ როლს ითამაშებს კავ-
კასიის სვე-ბეღუნებ.

ზემო თქმული ნათლათ გვიჩვენებს, თუ საითკენ
მიემართება თანამედროვე ერთა განვითარება, რო-
გორია მათი გზები. ესლა უკვე არავისთვის არის სა-
დაო, რომ ერთად ერთი ფორმა ერის ნორმალურ
განვითარებისათვის არის სახელმწიფო, ნამდვილი
ბაზა შემოქმედებისა და წინვლისა. კავკასიის და
უკრაინის ერებიც ამ სრულიად ბუნებრივ და აუცი-
ლებელ ფორმაში ჩამოხსმას ლამობენ, სხვანაირათ
შეუძლებელია, სანამ ისინი ერობენ.

ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ეს ერები ვერ გადაიგ-
დებენ მონობის უღელს? ასეთი კითხვა კიდევ იქნე-

ბოდა, ერთ ხნობით მაინც, საზრიანი, ჩვენ რომ ნორ-
მალურ, ან როგორც იტყვიან, სტაბლი რეჟიმთან
გვექნდეს საქმე. ეს კი ასე არ არის. არსებული ხელი-
სუფლება გაცილებით უფრო სუსტია და უდღეური,
ვინემ ძველი, რომელმაც, მიუხედავთ ამისა, თავი
ვერ იბატია დანგრევისაგან. ჩვენს წინ გადაიშალა,
გასულ წლის ბოლოს, საბჭოთა 10 წლის არსებობის
გამანადგურებელი შედეგები: სრული გაკოტრება,
შინ და გარეთ, ეკონომიური, პოლიტიკური, მორა-
ლური. ქებული მონოლიტი-კომუნისტური პარტია
დაიმსხვრა, დაპყარვა არსებობის აზრი; მისი იდეო-
ლოგიი ციმბირში მიემგზავრებიან, დარჩა ხელკეტი-
ანი სტალინი, გარსშემორტყმული გეგუეს ცერბერე-
ბით. აი, რისთვის აიღეს ძალა-უფლება ოქტომბრის
დღეებში, რისთვის ამოუციტეს მილიონები, რის-
თვის გაატანეს ნიავე-ქარს «მეექვსედის» ავლა-დიდება!
კითხვაა, მაშასადამე, არა იმაზე, დაემხოთ თუ არა
არსებული რეჟიმი, რაშიდაც ჩვენზე ნაკლებ ექვობს
თვით სტალინიც, არამედ იმაზე, როდემდის იბო-
გინებს კიდევ ის.

და აი აქ ჩვენც, არარუს ერებს, გვეთქმის ჩვენი
სიტყვა. ობიექტივიური ხელსაყრელი გარემოებანი
ერთია, ხოლო სუბიექტივიური მომენტი—მეო-
რე. თავისუფლება ციდან ჩამოვარდნილი მანანა არ
არის, ის თვითონ უნდა გამოვლიჯო მტერს ხელი-
დან, ამისათვის უნდა ემზადო, გაიმსჯვალო ურყევი
ნებით. არ დაერიდო მსხვერპლს... ერთი სიტყვით,
უნდა იბრძოლო. ერი, რომელიც თავისუფლებისა-
თვის არ იბრძვის, არცაა ღირსი ამ სახელის ტა-
რების.

ქართველი ერი იბრძვის, მას კარნახი არ ექვირე-
ბა. იმასვე ვხედავთ მთელს კავკასიაში, უკრაინაში,
სხვაგან. მაშასადამე, ისინი არიან სუბიექტნი მათივე
ბედისა, თვითონ გამოსუქდენ მას. გარშემო პირობე-
ბი ისეთია, რომ მათი ჯერიც ჩქარა დადგება.

ტ ვ ი ლ ი ს ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.

ქართული უნივერსიტეტი თავის არსებობის ათი
წლის თავს დღესასწაულობს. ახალი საქართველოს
ცხოვრებაში უნივერსიტეტის დაარსება უდიდესი
მოვლენაა, ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის შემ-
დგ. ორივე ერთი და იმავე ბუნებისა—გამომხატვე-
ლი ეროვნულ თვითარსებობის და თავდები ერის კე-
თილდღეობისა და წარმატებისა. მხოლოდ თავისუ-
ფალ ერს შეუძლია განვითარდეს და გამოაჩინოს
მთელი შესაძლებლობა თავის ნიჭისა და შემოქმედე-
ბის, მხოლოდ ერს გონებით გაწრთვნილს შეუძლია
სავსებით შეიგნოს და გამოიყენოს ეროვნული თავი-
სუფლება. მედგრად იბრძოლოს მისთვის.

ერი ერია, მატარებელი საკუთარი თავისებურ-
ობის და გამსახიერებელი მისი აზრისა და საქმის ყო-
ველ დარგში. ტფილისის უნივერსიტეტი ეროვნული
უნივერსიტეტია, ტფილისი ქართული უნივერსის და
გაგების, ქართულის შესწავლის და განმარტების. და
ასეთი რომ არ იყოს, არაფერიც ეღირებოდა. მსოფ-
ლიო განათლების საგანძურში მხოლოდ მაშინ შეუ-

ძლია შეიტანოს თავისი, წვლილი, თუ აღუჭრვი-
ლი იქნება იმ სულიერი გემოვნებით, რომელიც
აღბეჭდა ქართველ ერში მისმა ისტორიულმა
ბედმა.

შემოკრება მოწინავე ერების ცოდნითა და მეთო-
დებით გამართულ ქართველ მკვლევართა და მეცნი-
ერთა, ქართულ მსჯელობის ლაბარატორიის მოწყო-
ბა და მიწოდება ქართველ ერისთვის გამოწადი
ცოდნისა მთელი ქვეყნისა და სამშობლოს შესახებ—
აი რა მაღალი საგანი დაისახეს ჩვენი უნივერსიტე-
ტის დამაარსებლებმა: შექმნა უმაღლესი სასწავლებ-
ლის ქართული აზროვნების გასაწაფად და განსავი-
თარებლად. ტფილისის უნივერსიტეტი სრულის
ღირსებით ემსახურებოდა ამ მიზანს და საყოველთაო
სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა უკვე შე-
დარებით მცირე ხნის განმავლობაში.

იგი გამგრძელებელია ქართველი ერის საუკეთე-
სო კულტურულ ტრადიციების და ცოდნისმოყვარე-
ობისა. მართალია, ათი წელი უნივერსიტეტისთვის

ძლიერ პატარა დროა და ევროპის უნივერსიტეტები საუკუნოების მანძილზე მოღვაწეობენ. მაგრამ ჩვენს ერს მუდამ ახასიათებდა დიდი მისწრაფება სწავლა-განათლებისადმი, ჩვენში არსებობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებანი, იყო ჩანასახი უმაღლეს სასწავლებლებისა. ქრისტიანობის მიღებიდანვე ქართველები მოსწრაფებულად დაეწაფნენ სარწმუნოებრივ განათლების გავრცელებას, გადმოიღეს საეკლესიო წიგნები, არ დაუტოვებიათ არც ერთი სერიოზული საქრისტიანო ნაწარმოები გადმოუთარგმნელად, სწერდნენ ორიგინალურ გამოკვლევებსაც, და ეს ხდებოდა არა ინდივიდუალურად და მოუწყობლად, არამედ არსებობდნენ საამისო ორგანიზაციები და სკოლები საქართველოში და უცხოეთშიც (რომ უფრო დაახლოვებულნი ყოფილიყვნენ მაშინდელ კულტურულ ცენტრებთან). სარწმუნოებრივი ინტერესები განვითარდა და შეივსა. მეტერთმეტე საუკუნეში საქართველოს უკვე ყავდა ბევრი შესანიშნავი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი—არსენ იყალთონელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვები, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ იმ დროინდელ განათლებულ კაცობრიობის ფილოსოფიურ მოძრაობაში. ეს ამბავი თვალსაჩინო მოწმობს, თუ რა სიმძლევმდე იყო აღწეული ძველი საქართველოს განათლება. განა იშვიათი, ფრიად საგულისხმიერო მოვლენა არაა, რომ მე-11 საუკ. პეტრიწის (ახლანდ. ბულგარ.) არსებობდა ქართული სასწავლებელი, სადაც ქართულად გადიოდნენ ღვთისმეტყველებას, ისტორიას, ფილოსოფიას და სხვა საგნებს; ეს იყო უმაღლესი სასწავლებელი და ერთად ერთი მაშინდელ ევროპაში. ასეთი სასწავლებლები გამართული იყო,

არასაკვირველია, საქართველოში და მოიპოვება უტყუარი დოკუმენტი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ მაგალითად ოფიციალურ გამოსვლების დროს გელათის უმაღლეს სასწავლებლის ხელმძღვანელს (რექტორს), აგრე წოდებულს მოძღვართა-მოძღვარს ეკუთვნოდა პატივი თანასწორი პირველი ვეზირის—ქყონდიდელისა. ის გასაოცარი კულტურული აღორძინების ენერგია, რომელიც გამოიჩინეს ქართველმა მოღვაწეებმა მე-17 და მე-18 საუკუნეებში და ირაკლის მიერ ორი სემინარიის დაარსება თელავსა და ტფილისში კვლავ გვიჩვენებენ, თუ რა ფართოდ და ღრმად იყო გაშლილი ქართველ ერში სწავლისა და განათლების შეგნება...

რუსეთის ძველი მთავრობა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სულ ქართველი ერის კულტურულ ტრადიციების აღმოფხვრას ცდილობდა. რუსეთის დღევანდელი ბატონები ბოლოშევიკებიც ამ გზას მიყვებიან, ყოველნაირად კბორკავენ ტფილისის უნივერსიტეტის მუშაობას და განვითარებას. მაგრამ მტარავალთა უხეშ ძალას ვერასოდეს, ვერასოდეს შეუჩერებია გონების მოძრაობა. ვერც ბოლოშევიკების ინკვიზიცია დაასწობს აზროვნების ლამპარს ტფილისის უნივერსიტეტში და ის ეროვნული სული, რომელმაც წარმოშვა უნივერსიტეტი, შეაძლებინებს მას დასძლიოს ყოველი დაბრკოლება და მტკიცედ დაიცვას მშობელი ერის საუკეთესო გონებრივი მისწრაფებანი.

საქართველო კვლავ თავისუფალი იქნება და ტფილისის უნივერსიტეტისთვისაც დადგება ბედნიერი დღეები.

• ს. ფინცხალავა.

თფილისის უნივერსიტეტის დაარსება.
(მოგონება)

26 იანვარს 1918 წ. მე მხვდა წილად გამეხსნა ჩვენს დედა-ქალაქში, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელით, პირველი ქართული უნივერსიტეტი. ჩემთვის ძნელია მოგონება, რა ვთქვი ამ დღეს თავმჯდომარის სავარძლიდან, მანსოვს. მხოლოდ არაჩვეულებრივი მღელვარება, გულის-ტოკვა, რომელიც განვიცადე.

და განა მართლ მე?! ამავე განცდას ადვილათ ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზედ. დიდი იყო მათი რიცხვი, ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი, ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოშიც ბევრი კანკალებდა სიცივისგან. ამიტელა, უადგილობით გაწბილებულ, ხალხს სხვა არ დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მიღწეულ ვაშატაშისთვის.

საყურადღებოა, გარდა მოსწავლე ახალგაზდობისა, ბლომათ იყო დაბიო ხალხი: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი... უკანასკნელნი სწარბობდნენ კიდევ პირველს. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ. მათ შორის არ სჩანდნენ ოფიციალური პირები. აღსანიშნავია მხოლოდ ჩვენი მეზობლების დელეგაციები, რომელთაც მოსალოცი სიტყვებიც წარმოთქვეს.

ჩვენ ვხსნიდით, ასე ვთქვათ, კერძო უნივერსიტეტი; მას კიდევ არ ერქვა «სახელმწიფო», რადგან უკანასკნელი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გაჩნდა. ჩვენ განვლეთ დაუვიწყარი ეროვნული ყრბობა, ნოემბერს 1917 წ., რომლისაგან იშვა თვით ჩემი გამოგზავნი ეროვნული საბჭო, გარდაქმნილი, 26 მაისის შემდეგ, საქართველოს დროებით პარლამენტად. არსებობდა, ამის გარდა, საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესია, რომლის მეთაური, აწ განსვენებული კათალიკოზი კირიონი, პირადათ დაეწრო უნივერსიტეტის გახსნას.

მაგრამ ყველა ეს ჯერ კიდევ არ იქნოდა საკმაო საბუთს, რომ ქართველს სმამალა ეთქვა თავისი გულის-ნადები, თავი საკუთარ მიწა-წყლის ბატონ-პატრონად გამოეცხადებია. ბევრი იყო ამისათვის დაპრკოლება და პირველ რიგზედ უაღრესათ მტრული განწყობილება არაქართველ ელემენტებისა ჩვენი ქვეყნის რუსეთისგან გამოცალკეების მიმართ.

გამოცალკეება რაა, თვით უნივერსიტეტის დაარსებაც ერთგვარ მინუსად ჩავითვალეს! მე მოწმე ვიყავი, რა უპაან წყვეტა განვლეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ვიწრო ჯგუფმა, სანამ მიზანს მიაღწევდნენ. თუმცა რევოლიუციის პირველ ხანაში, მაშასად



დამე, თითქოს სრული თავისუფლების ფრთების ქვეშ. უნივერსიტეტის, თუ გინდ კერძოსი, ნებადაურთველათ გახსნა ყოველად შეუძლებელი იყო. ძველი რეჟიმის ადათნი ჯერ კიდევ განაგრძობდნენ. ვთქვათ ინერციით, არსებობდა. ეს იყო განსაკუთრებით მართალი თფილისში, სადაც დაგრძობილი იყო დიდძალი რუსის ჯარი და თავს იყრიდნენ უამრავი დელეგატები ანატოლიის ფრონტიდან; საკმარისი იყო უბრალო წასისინება, რომ მთელი ერი კანონის გარეთ გამოეცხადებიათ. თანამედროვეთ ახსოვთ, როგორის შიშის ქვეშ მუშაობდა ჩვენი ეროვნული საბჭოც, ის არალეგალური ორგანიზაცია იყო დასაწყისში და მისი წევრები კიდევ უარობდნენ, გარეშეთა წინაშე, მასში მონაწილეობას...

ვისთვის უნდა მიემართნა ჯავახიშვილს ნებართვისთვის? ოხაკომისთვის, რა თქმა უნდა, რომელიც ატარებდა პეტროგრადის დროებით მთავრობის ძალა-უფლებას ამიერ-კავკასიის ფარგლებში. მასში შედიოდნენ თითო წარმომადგენელი სომხებისა და აზერბეიჯანლებისაგან, ორი ქართველებისაგან და თავმჯდომარედ რუსი იყო დანიშნული. ვინაიდან განსვენებულ კიტა აბაშიძეს განათლების დარგი ჰქონდა მინდობილი, უნივერსიტეტის საქმეც მას ეკუთვნოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, იმავე ძველი ადათით, შინაგან საქმეთა მართველსაც ცოტა რამ ეკითხებოდა ამ საქმეში! და ეს კი მე ვახლდით. უადვილო არ იქნება აქვე შევინშნო, რომ კიტა უამისოთაც ნაბიჯს არ გადადგამდა უჩემოთ, რადგან ჩვენ თავიდანვე სოლიდარულათ ვმუშაობდით.

ოხაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა. უნდა ითქვას, განხილვამდე კაი ძალი ცვლილებათა შეტანა დაგვიტოვდა უნივერსიტეტის წესდებაში, და ეს ხდებოდა, ასე ვთქვათ, ჩვენიანებში, ჯერ კიდევ განათლების უწყების ჯერ ქვეშ. ოხაკომის არა-ქართველი წევრები მეგობრულათ არ შეხვედრიან ჩვენს განზრახვას, თუმცა გარეგნულათ არ იმჩინებდნენ ამას. მათ დააყენეს მეორე კითხვა, რომელსაც უნდა ჩემალა, არაპირდაპირ, საქმე. ძველი რეჟიმის მიწურულში, როგორც მოგეხსენებათ, ნებადართულ იქნა რუსულ უნივერსიტეტის გახსნა თფილისში მთელი კავკასიისათვის. ჩემმა კოლეგებმა გამახსენეს, თუ რამდენი ბრძოლა დაგვიტოვდა ამისათვის დღეში... «ძლივს ველირსეთ იმ დროს—ამბობდნენ ისინი—, როცა ჩვენ თვითონ მოგვეცა საშუალება ამ დიდი ხნის წადილის განხორციელების, ფულიც გადადებულა, საცაა საქმეს უნდა შევუდგეთ და თქვენ კი ქართულ უნივერსიტეტის გახსნის კითხვას გვიყენებთ!» ისინი განმარტავდნენ, რომ რუსული უნივერსიტეტი კავკასიის ერთი ინტელექტუალურ ძალების გამაერთიანებელ ცენტრად იქცეოდა, მაშინ როდესაც ქართული, სომხური, თათრული უნივერსიტეტები უფრო მათი გათიშვის ბუდეებად ვახდებიათ. თითქოს მომენტით ამართლებდა მათ აზრს: უკვე დაწყებული იყო შუღლი და ბრძოლა სომეხ-თათრებ შორის. მართლ ამითაც არ განისაზღვრებოდა მათი არგუმენტაცია: უნივერსიტეტის გახსნა ხომ ასე ადვილი არ არის—ამბობდნენ ისინი ძლიერ თავაზიანათ—, მას ეჭვირება, გარდა ათასგვარ ტენიკურ

მორთულობისა, პროფესორ-მეცნიერთა მთელი რიგი, აბა სად შეიძლებოდა ასე ნაუცბათევათ ყველა ამ ნაკლის შევსებას?»

ეს უკანასკნელი მოსაზრება, ასე წარმოიდგინეთ, ბევრი ქართველისაგანაც გამოიგონია! ჩვენი მეცნიერული ძალები ისე იყვნენ დაფანტული რუსეთის სხვა და სხვა მაღალ სასწავლებლებში, რომ მხოლოდ რჩეულთ თუ შევძლოთ განესაზღვრათ მათი რაოდენობა და ღირსება. ამ მხრივ, ივ. ჯავახიშვილის დარბაისლური მტკიცებანი, მისი შეურყეველი რწმენა, რომ სიტყვას საქმედ აქცევდნენ, საკმაო თავდები იყო ჩვენთვის, რომ გავეტაცნეთ მის იდეას და ხელიც შეგვეყუო შედეგების გვართ.

ბოლოს ოხაკომმა მაინც მოგვეცა თავისი დასტური და მოაწონა წარმოდგენილი წესდება. სხვაგვარ შეუძლებელიც იყო, ერთი იმიტომ, რომ უარის თქმა კიდევ უფრო ავნებდა ერთა მეგობრულ განწყობილებას, რომლისათვის თითქოს ზურუნავდნენ, და მეორეც იმიტომ, რომ რევოლიუცია, როგორც იტყვიან, ჩვენს მხარეზე იგულისხმებოდა. მას მე წარმოვიდგენდი ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანოში და მქონდა საამისო მანდატიც როგორც პეტროგრადის, ისე თფილისის საბჭოებისა. ჩვენ შორს წავიყვანდა მბობა იმის შესახებ, თუ რას მაკისრებდა ან როგორ ვასრულებდი მე ამ მანდატს, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ამა თუ იმ საფაქტო კითხვის გადაჭრის დროს განსაკუთრებული ყურადღებები ისმენდნენ ჩემს დასკვნას, ვინაიდან ჩემს ზურგს უკან რევოლიუცია ეგულებოდა!

კიტა აბაშიძე მძიმე ავით იყო იმ ხანად და ისე გარაიცვალა, საუბედუროთ. რომ არც კი დაბრუნებია თავის თანამედრობას ოხაკომში. ამის გამო განათლების უწყებაც მე დამეკისრა და მქონდა, მაშასადამე, უშუალო დამოკიდებულება უნივერსიტეტის ინიციატორებთან. უკანასკნელნი არ იყვნენ უერო იყოს წესდებით, უნივერსიტეტის საბჭო აღუქვარი იყო დასავლეთის ავტორიზაციის უფლებით; მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობდით რევოლიუციის ხანაში, ხშირათ ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა ზევიდან ჩაურევლათ. მახსოვს, მაგ., რამდენი მეცინინებოდა დაგვიტოვდა, რომ უნივერსიტეტის შენობიდან გავვეყვანა ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც იქ მოკალათებულიყო «რევოლიუციური გზით».

ამასობაში ავგისტოც და დაცე და მე გავემგზავრე მოსკოვ-პეტროგრადს ჯერ სახელმწიფო, მერმე დემოკრატიულ ყრილობაზე დასასწრებათ, პირველზედ ოხაკომის, ხოლო მეორეზედ ეროვნულ საბჭოს სახელით. სექტემბრის დამლევს მოხდა კორნილოვის გამოსვლა და თფილისში ამის პასუხად ოხაკომის ნაცვლათ კომისარიატი დაარსეს, რომელშიაც მეც შევდიოდი. კიდევ ცოტა ხანი და მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, რის გამო ამიერ-კავკასია მთლათ ჩამოსცილდა ფაქტიურათ ყოფილ რუსეთს.

შექმნილ პირობებში, თავის თავათ ცხადია, ჩვენც უფრო გავთამამდით, მივიღეთ ნივთიერი საშუალებაც ერის სახელზე (თავად-აზნაურობის შემოწირულება), რაიცა სარჩულად დავეუღვეით თვით ეროვნულ ყრილობის მოწვევას და სხ. და სხ. ერთ-




ერთი საყურადღებო შედეგი აღნიშნულ ცვლილება-
თა ის იყო, რომ სიმძიმის ცენტრი თანდათან ეროვნულ
საბჭოებისკენ გადადიოდა. ჯავახიშვილიც და
მისი მეგობრები საქართველოს ეროვნულ საბჭოს-
თან მიიქცენ და ითხოვენ, ასე ვთქვათ, მისი ლოცვა-
კურთხევა, რაიცა მათ უკამათოდ მიიღეს. ეს უკვე
იყო ნამდვილი სახელმწიფო აქტი, რომლის სიმბო-
ლიური გამოხატულება უნივერსიტეტის, ეროვნულ
საბჭოს სახელით, გახსნაში დავინახეთ.

მე მქონდა ბედნიერი შემთხვევა დავსწრებოდი,
როგორც ერთი მრავალთაგანი, ჩვენი უნივერსიტე-

ტის სამი წლის თავს, იანვარს 1921 წ. მოსმენილმა
ანგარიშებმა გადაგვიშალა ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი
სურათი უნივერსიტეტის ზრდისა და განვითარების.
რომ 1918 წ. გამოთქმული იჭვრები სასაცილოთ არ გვყოფნიდა.
და თუ რამეზე მწყდება ესლა გული—ეს იმაზე, რომ ერთხელაც
ვერ მოვახერხებ, მიუხედავად განმეორებითი მიპა-
ტიყებისა, დამოუკიდებელ საქართველოში ერთი
წლის ყოფნის დროს, ქართულ ლექციებზედ დას-
წრება...

ა. ჩხენკელი.



მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნ. ქუდინაიას დაბადების 60 წლის თავი.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ქარ-
თველი ერის ჯალარა ბელადს, ბ-ნ ნოე ქორდანიას,
ამა წლის 15 იანვარს შეუსრულდა 60 წელი. რატომ
უნდა, ჩვენს დღევანდელ პირობებში შეუძლებელია
ამ მთელი ქართველობისათვის მნიშვნელოვან წლის-
თავის შესაფერისად აღნიშვნა. მაინც მის ახლობელ
მეგობრებმა გადასწყვიტეს პატარა შეკრებილობით
აღნიშნათ ქართველი ხალხის წინამძღოლის დაბ-

ადების 60 წლისთავი. ამ მიზნით გაუმართეს მას პარი-
ზში, 22 იანვარს, ვიწრო წრეში ბანკეტი, რომელსაც
დაესწრენ მხოლოდ საგანგებოთ მოპატიჟებული პი-
რნი. 70 დამსწრეთა შორის, იუბილარის პოლიტიკურ
ამხანაგებს გარდა იყვნენ სხვა მიმართულების ქარ-
თველი მოღვაწეები, მათ შორის: დამფუძნებ. კრების
პრეზიდენტის წევრი ექ. თაყაიშვილი, ნ. რამიშვილი,
კ. კანდელაკი, გ. გვახავა, ს. ფირცხალავა, შ. ამირე-



ჯიმი, ვ. ლამბაშიძე, ი. გობეჩია, რ. გაბაშვილი, დ. შარაშიძე, დ. სირტლაძე, ვლ. მეგლაძე, ი. გოგოლაშვილი, კ. ქავთარაძე, ი. ნუცუბიძე, კ. საბახტარიშვილი, ნ. ცინცაძე, შ. აბდუშელი და სხ.

ბანკეტს ხელმძღვანელობდა აკ. ჩხენკელი, რომელმაც მოკლე სიტყვაში მკაფიოდ აღნიშნა იუბილეარის განსაკუთრებული თვისებები—მტკიცე ეროვნული პოლიტიკა, ბრძოლის დაუმრეტელი ენერჯია, სიმხნევე, გამპირახობა. ამას მოყვა სხვა სიტყვები. ყველა ახასიათებდა ბ. ნ. ყორდანას როგორც დიდს სახელმწიფოებრივ მოღვაწეს, რომლის გარშემო შემკრებილია მთელი ქართველი ერი, და უსურვებდნენ მას დღევრძელობას, რომ განთავისუფლებულ სამშობლოში განაგრძოს თავისი მოღვაწეობა მშობელი ერის საკეთილდღეოდ.

მეტად მგრძობიარე და ჩვეულებრივი ცოცხალ და გონივრულ სიტყვაში ნ. ყორდანამ აღნიშნა, რომ ქართველი ემიგრაცია სრულიად განსხვავებულია, არ გავს არც ერთ ემიგრაციას. მაშინ როდესაც ყველა უკანასკნელნი თავის ქვეყანას და ხალხს მოწყვეტილი არიან, ქართველ ემიგრაციას ზურგს უმაგრებს მთელი ერის ერთსულოვანი მისწრაფება და ბრძოლა თავისუფლებისათვის. იუბილარმა ისტორიულ-პერსპექტივის თვალსაზრისით გააშუქა ქართველი ერის დღევანდელი ვითარება: მარტალია ჩვენთვის თანამედროვეებისათვის, ვისაც ხვდება პირადად გადაიტანოს ოკუპაციის სიმწვავე, ძნელი და

ძიმეა დღევანდელი ხანა, მაგრამ ერისთვის, მისი მომავლისათვის სწორედ დღევანდელ ხანას აქვს უღრმესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა: ოკუპაციის გადასაგდებათ გამართულ ბრძოლაში საბოლოოდ გამოიჭედა ქართველი ერის მთლიანობა და სამარადისოდ განმტკიცდა მისი ნება ეროვნულ თავისუფლების და დამოუკიდებლობისა. დამოუკიდებლობა პსიქოლოგიურათ მოპოებულია, მას ველარაფერი დაშლის; რადგან მთავარი პირობა მიღწეულია. ველარაფერიც შეაფერხებს მის პოლიტიკურად განხორციელებას. ამაშია უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეპოქის, რომელიც არის ურყევი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ბანკეტზე შესრულებული იყო ეროვნული ჰიმნი და ქართული სიმღერები. ბანკეტის დასასრულს აკ. ჩხენკელმა უსურვა გამარჯვება საქართველოს და დღევრძელობა საფრანგეთს, ქართველების მეორე სამშობლოს, სადაც თავისუფლად ფრიალებს საქართველოს დროშა. დამსწრენი ფეხზე ადგნენ და იმღერეს ჰიმნი და მარსელიეზა.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის დაბადების სამოცი წლის თავს გამოეხმაურება თავის გულის სიღრმეში მთელი ქართველი ხალხი. ყველა დიდი სიყვარულით და პატივისცემით მიესალმება მას და კიდევ მეტის ერთობით შემოიკრიბება იმ დროშის გარშემო, რომელსაც იგი ასე ღირსეულად ატარებს.

საქართველო - რუსეთის კვლევანი.

(ზაქსის გამო)

მონარქიული რუსეთი ხშირათ გვაყვედრიდა მის მიერ საქართველოს «გაუკლოტურონებას», ეროვნულ განადგურებისაგან «გადარჩინას», რკინის-გზის ქსელით საქართველოს «დახლართვას», რუსეთის მიერ საქართველოში უამრავი კაპიტალის «ჩაყრას» და მრავალ «კეთილსაქმიანობას».

სიტყვა-სიტყვით გაჰყვირიან დღეს ბოლშევიკებიც რუსეთის «ზრუნვასა და გულკეთილობაზე», მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე საქართველოს «მფარველი და მზრუნველი» საბჭოთა რუსეთი განსლავთ.

ბოლშევიკებმა, რუსეთის შავრახმელების ფრახებთან ერთად, მათი ბრძოლის მეთოდიც. ველიკორუსული შოვინისტური ცინიზმიც შეითვისეს. მათ, «მოღვაწეობაში» და გაბედულ «მოქმედებაში» ხომ, რუსეთის რეაქციონერების მხრით სამდურავი არ ეთქმით. ეკონომიური ცარცვა-გლეჯა, დაპყრობილი ბაზრის უსინდისო ექსპლუატაცია, ერის სიმდიდრის და შრომის ქურდული მითვისება და ამასთანავე უსიცივილო ყიყინი ვაცარცული ერის ეკონომიურ წინსვლის და განვითარების შესახებ, აი—ეს გასლავთ საქართველოს მიმართ ძველი და ახალი რუსეთის სავერთო ენა, მოქმედება და მოღვაწეობა.


ვის არ გაუგონია ზაქსის? ბოლშევიკური პრესა რამდენიმე თვის განმავლობაში ქარბუქს აყენებდა ამის გარშემო. უბოლოო ტრახანსი და «სოციალის-

ტურ მიღწევებზე» ლაპარაკი. 150 გვერდიანი წიგნიც კი გამოიცა «ზაქსის» სახელწოდებით, ორ ენაზე რასავიგრეულია «ოკტომბრის» (ჩვენებურად რუსულ) და ქართულ ენაზე. «ცირკულიარებიც» კი დაუზგავნეს ქართველ პოეტებს, მაგ. წიგნის პირველ გვერდზე შანშიაშვილის ლექსს თავზე დართული აქვს «... სანდრო შანშიაშვილს. ველით თქვენგან ზაქსის შეურყვეველ ამღერებას»—ვ. ავაქოვი. წინაწინვე კიდევ «იწინასწარმეტყველეს», რომ ბურჟუაზიული ევროპა ბოლშევიკების ამ «დიდ» მიღწევას «განგებ» მიჩქმალავს და ხმასაც კი არ ამოიღებს (ევროპას, რომ ასეთი სადგურები აკვირვებდეს და პოეტებს ძალით შეურყვეველ ძლიერებაზე» ამღერებდეს, ევროპის პოეზია P. C-ის და K.W-ის პოეზიით გადაიქცეოდა).

რატომ შექნეს ბოლშევიკებმა ზაქსის გარშემო ასეთი ალიაქოთი? რა იყო ამ ალიაქოთის პირდაპირი და გარკვეული მიზანი?

— გაძვალტყავებულ ხალხის თვალში ძვირი და უვარგისი საქონლის გასაღებით გამოწვეულ სახარკო ტვირთის, უმნიშვნელო ტვირთად გასაღება, მოსკოვის კომბინაციის და მორიგი დიდი ქურდობის დაფარვა.

მოუსმინოთ თითონ მათ. «კონკურენციის დროს გამოირკვა წემდვეგი მდგომარეობა: უცხოეთის ფირმებმა, მიიღეს რამხედველობაში, რომ ამიერკავკასიაში დიდი პერსპექ-



ტრეები გაშლილი ელექტროფიკაციის საკითხში, ზაქვის შეკვეთებს შეხედეს, როგორც ამ.კავ. ბაზრის დაპყრობის შესაძლებლობას, რის გამოც მათ ყურადღება არ მიაქციეს მოგების მიღებას და კონკურენტის დროს ძალიან დაუკლეს ფასები და პირველი ხარისხის მასალის მოწოდება აღვითქვეს. მაგრამ იმავე დროს გამოირკვა, რომ რუსეთის მანქანათა ამშენებელი ტრესტები უკვე საქმარისად ძლიერად (ალბათ ცარცვის დარგში) ცნობდნენ თავიანთ თავს და სურთ თავიანთ აღორძინებულ ქარხნების მუშაობა უზრუნველყონ სათანადო შეკვეთებით და არ გაუშვან ხელიდან გასაღების ბაზარი»-ა. და შემდეგ: «ამრიგაზ ზაქვის ელმექანიკურ მოწყობილობათა შეკვეთების გაცემის საკითხმა პრინციპიალური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო. ერთი მხრივ შესაძლებელი იყო შეკვეთების გადაცემა უცხო ფირმებისთვის ძალიან იაფ ფასებში და პირველი ხარისხის გამოცდილი მასალების მოწოდებით. მეორეს მხრივ იდგა საკითხი შეკვეთების განაწილებისა თვით საბჭოთა კავშირში, რათა ამით უზრუნველყოფილიყო (საქართველს ხარჯზე) ჩვენი აღდგენილი მსხვილი მანქანების ამშენებელ ქარხნების მუშაობა. ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღეს ხელმძღვანელმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა: სახკომსაბჭომ, ცკმა და საქ. კომპარტიის ცკამ. გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ტრესტის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, გამოწკლისი დაშვებული იქნა მხოლოდ ცენტრალურ სადგურის მთავარ ტურბინებისათვის, რომელთა დამზადება მოითხოვს სპეციალურ მოწყობილ და გამოცდილ ქარხნებს. ასეთები კი რუსეთში არ არის. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, ზაქსკომმა 1923 წ. 22 მარტის ხელშეკრულებით, ზაქვის მთავარ ელმექანიკურ მოწყობილობათა შეკვეთა გადასცა ლენინგრადის მანქანათა ამშენებელ ტრესტებს, მასთან ერთად «მაშინოტრესტს» დაევალა წყლის ტურბინების შეკვეთა მიეცა უცხოეთში სპეციალურ ტურბინების ამშენებელ ქარხანაში. ტრესტის დაყენებით მოთხოვნით 3 ტურბინის ნაცვლათ (თითოეული 4.500 ცხ.ძ.) შეკვეთილ იქნა 4 ტურბინა იმავე სიმძლავრის იმ პირობით, რომ მეოთხე ტურბინა უცხოეთის ქარხნის ნახაზების მიხედვით დამზადებული ყოფილიყო საბჭოთა კავშირში»-ა. «ზაქვის» 61 გვ. (საქართველოს ხარჯზე შექმნილი ნახაზები რუსეთის ალბათ, კიდევ უფრო დიდ მომგებიან «საქმიანობის» პერსპექტივას უშლის).

უფრო აშკარათ საქართველოს «დამოუკიდებლის» და რუსეთის «მზრუნველობის» აღიარება შეუძლებელია.

ჩვენც დროებით დავკმაყოფილდეთ მხოლოდ დამახასიათებელ ადგილების ხაზგასმით და განვაგრძოთ შემდეგ:

«ზაქვის სადამშენებლო საერთო ღირებულება წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვით, რომელიც 1923 წ. დამტკიცებული იყო ტფილისის აღმასკომის მიერ, უდრიდა 4.181.513 მ. ომის წინანდელ მანეთს, ან 6.899.826 ჩერვონულ მანეთს»-ა. მაგრამ «მძიმე და გაუთვალისწინებელი გარემოებით აღსავსე სამუშაო წარმოების

დროს, ძლიერ დაწვრილებით გამოკვლევებისა და დეტალურ დამუშავებულ გეგმარის დროს»-აც შესაძლებელი ყოფილა «საგრძობი გადახვევა» და 4.181.513 მანეთის 15.736.224 მან. 69 კაპ. გადაქცევას («საგრძობი გადახვევა» ასახსნელი ყოფილა ხუთი მიზეზით. ჩვენ აქ მესამე მიზეზი მოგვყავს. როგორც უმთავრესი მიზეზთაგანი და რომელიც, ზემო დასახელებულ წიგნშიაც როგორც მთავარი მიზეზი, სხვა «მიზეზებთან» შედარებით, საკმაოდ გაშუქებულია. ეს გახლავთ: «ლენინგრადის მანქანათ-საამშენებლო ტრესტისათვის შეკვეთილ ელექტრო-მექანიკურ და მექანიკურ მოწყობილობათა ღირებულების ძლიერ გადიდება, გერმანიის ქარხნების თანამედროვე ფასების საფუძველზე გამოანგარიშებულთან შედარებით ხარჯთ-აღრიცხვაში»-ა.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკებმა თავიანთ პირობით აღიარეს, რომ საქართველო რუსეთის ძვირი და უვარგისი საქონლის ბაზარია, რომ ერთი ზაქვის რუსეთის «დანმარებით» მეტი ვიდრე სამი ზაქვის დაჯდა, რომ საქართველოს ძალით გადააწყვეტინეს რუსეთის ქარხნების უზრუნველყოფა, რომ საქართველოს საზღვრები ჩაკეტილია ევროპის იაფ და საუკეთესო ხარისხის საქონლისთვის.

იმ ცარცვის დარგში, სადაც ბოლშევიკები თავს საკმაოდ მომზადებულათ ვერ გრძობენ. მოსკოვის სასარგებლოდ საქართველოს ვაცარცვისათვის, უცხო კაპიტალისტებს იშველებენ. პირველ ხელშეკრულებას კაპიტალისტების მოთხოვნისადავით, მეორე ხელშეკრულებით ცვლიან, თმობენ საქართველოს და ქართველ მუშების ხარჯზე და თანაც იმედს გამოთქვამენ (სამართლიანათაც), რომ კონცესიორები ახალი, მათთვის უფრო ხელსაყრელ პირობებით ისარგებლებენ და მუშაობას ორთავე მხრის (ე. ი. ამერიკელ კაპიტალისტების და საბჭოთა რუსეთის მთავრობის) სასარგებლოდ აწარმოებენ («კომუნისტი», ვასული წლის ივლისი, «ქიათურის კონცესიონ»). როდის აქეთ გრწამთ, ბნ. ბოლშევიკებო, რომ კაპიტალისტების «მუშაობა» ერთ და იმავე დროს შესაძლებელია სასარგებლო იყოს, როგორც მათთვის ისე მუშათა კლასისათვის და მის ხელისუფლებისათვის. მაგრამ აქ ყოველშემთხვევაში ქართველი მუშათა კლასი არაფერ შუაშია, — აქ გახლავთ ეროვნული ცარცვა, მოსკოვის კასის კომბინაციები, მისი ეკონომიური და პოლიტიკური მიზნები. ბოლო სიტყვაც ბოლშევიკებს დაუთმობთ. ჩვენ მკრთალად დახატულ სურათს ბნ ქავთარაძის მხატვრული ნიჭიც მივაშველოთ.

ბნ ს. ქავთარაძე და მრავალი სხვა მისი ამხანაგი, დღეს გახდა ცხაკაიას თერმინით «ჩანჩურ ივანიჩები», თვარა გუშინ არ იყვენ «პატარა» ბოლშევიკები. აი ამ ქავთარაძეს, «აღსარება» ჯერ კიდევ ბოლშევიკური პარტიის მეორე ყრილობაზე უთქვამს და უნამუსო «მოძღვარს» ბნ კახიანს კი მესხეთე ყრილობაზე საქვეყნოთ გამოაქვს. რა განაცხადა ბნ-მა ქავთარაძემ, უკეთ რომ ვთქვათ, რა განუცხადებია მას პარტიის მეორე ყრილობაზე?

«ჩვენი პარტია საქართველოში ატარებს კოლონიზატორულ პოლიტიკას»-ა, შემდეგ უხსნის თავის

ამხანაგებს, იმათ, ვისაც ამ სიტყვის მნიშვნელობა ისევე ესმის, როგორც თითონ ბნ ქავთარაძეს, იმათ ვინც კოლონიალურ რთულ ამოცანებზე საქართველოში, ექვსი წელიწადია ვარჯიშობს,—იმათ უხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას. «რა არის კოლონიზატორობა? ეს არის წმინდა ევროპული, იმპერიალისტური მოვლენა, რომელსაც ინგლისურ ენაზე ეწოდება «ჯინგოიზმი». რაში მდგომარეობს მეტროპოლიისა და კოლონიების ეკონომიური ურთ-ერთ დამოკიდებულება? მეტროპოლია ხელს უშლის კოლონიების ეკონომიურ განვითარებას. რათა მოახთინოს მისი ექსპლოატაცია ნედლეულის გაზიდვით და გადააქციოს იგი თავის ფაბრიკების გამსაღებელ ბაზრათ. აი რაში მდგომარეობს კოლონიზატორობის—ჯინ-

გოიზმის არსება. შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს ამ ტერმინის ხმარება ჩვენს პოლიემიკაში. აქ არ არიან ინგლისელები და ინდოელები, მაგრამ ეს ტერმინი აქ მოსატანია სწორეთ იმავე აზრით, როგორც იმპერიალისტური სახელმწიფოსა და იმ ჯგუფის ურთიერთობაში, რომელნიც მას ანხორციელებენ»—«კომუნისტი» გას. წლის 16 ნოემბერის).

ჩვენ არ გვავინტერესებს ის, თუ ეს «აღსარება» და სხვა მრავალი ასეთი,—გულწრფელი რწმენის, თუ «მტკიცე ლენინელობის» ნაყოფია, როგორც ამას ბ-ნი კახიანები «ამტკიცებენ». ჩვენ გვავინტერესებს მხოლოდ ამ «აღსარების» ფაქტი და თვით ბოლშევიკების მიერ, ბოლშევიკური პარტიის კოლონიალური პოლიტიკის მხილება. ს.—ძე.

ახალი წელი.

27 წელი წავიდა. ახალი მოვიდა. მწარე იყო წარსული. რას მოგვიტანს მოსული? ბედნიერ, თავისუფალ ქვეყნებში ახალი წლის დასაწყისს წარსულის ჯამს აკეთებენ და მომავალი მუშაობის პროგრამას ითვალისწინებენ. იქ აუცილებელი წინასწარი პირობა არაფერია შემოქმედებისა—თავისუფალი სახელმწიფოებრიობა და საზოგადოებრიობა უკვე არსებობს. ქართველი ერი მოკლებულია ამ ბედნიერებას. ამიტომ ჩვენი ერთად ერთი საზრუნავი საგანი დღეს საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენაა. სხვა ყველაფერი მეორე რიგის საკითხია. ამ თვალსაზრისით ვაფასებთ ჩვენ ახალ წელს. რა იქნება? შევინდოთ მტრისბანაკში: ყველაფერი არეულია,—გუმინდელი მეგობრები დღეს ერთმანეთს სასიკვდილოდ დასდევენ: ერი, სახელმწიფო, რევოლიუცია დავიწყებულია, პირადობას, პიროვნულ საკითხს პირველი ადგილი უჭირავს, გაქრა რწმენა, იმედიანობა, სასოწარკვეთილებამ მოიცო სული. რაშია საქმე?—მტერი დამარცხებულია, დამარცხებულია ყოველ ფრონტზე, მომავალი მისთვის დაწმულია. წარსული?—წარსული მისი შავბნელია. რა ქნას? უკუიქცევა? ვინ გაუშვებს, პასუხი უნდა ავსო კრიმინალურ, სისხლიან «საქმიანობისათვის», «რათა მიეზღოს თვითეულს საქმისამებრ თვისისა». «ოპონიცია» «პონიციას» აღანაშაულებს, «პონიცია» «პონიციას». ორივე დამანაშავეა, ორივე სისხლიანი, კრიმინალია. სახალხო სამსჯავრო ორივეს ერთნაირად განიკითხავს. ახლოდდება ეს დღე და ძლიერდება სასოწარკვეთილი დაბნეულობაც. ლამის ბოროტმოქმედების მთავარმა გმირებმა თვით გაასამართლონ ერთმანეთი. კომუნისტურ პარტიის ძველ მუშაკთა დიდი უმრავლესობა პარტიიდანაა გაძევებული და კანონს გარეშე გამოცხადებული ისე, როგორც ყველა მომავაკდავი მოქალაქე «საბუთოთა კავშირისა». ცხოვრება უღმობელია. ვინც მას წინააღმდეგება, კისერს მოიტეხს.

ტურად; დიქტატურის პერსონიფიკაცი უკანასკნელი საფეხურია ყოველგვარ დიქტატურისა. ასე იყო და ასე იქნება მუდამ. ერთი და იგივე მიზეზები ყოველგვან და ყოველთვის ერთ და იმავე შედეგებს იძლევიან. დიქტატურა ეს თუა, ის ნთქავს ყველაფერს, რასაც კი მიწვდება ბოლოს და ბოლოს თავის თავსაც. ჩვენ არ გვწამს არც ერთი სახის დიქტატურა, რადგან იგი პრაქტიკულათ არა მიზანშეწონილია. მორალურათ მიუღებელი. შემოქმედება სულის ინტენსივობას, მის თავისუფალ აღმაფრენას მოითხოვს. რაც მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიის წიაღშია შესაძლებელი. ხშირია მომენტები, ხალხი ცდება. მისი აზრი, მეხედულება რეალ ინტერესს წინააღმდეგება, მაგრამ ძალით «ცხონება» არც ასეთ შემთხვევებში დაიშვება. თვით შემოქმედებამ თვით შეცდომა უნდა ამოწვას—ეს გზა აცისკროვნებს გონებას, ასპეტაკებს სულს, ამტკიცებს ნებისყოფას. ბოლშევიზმის ათი წლის დიქტატურა ამარადისებს ამ დებულებას. ათი წლის განმავლობაში ბოლშევიკური რუსეთი ყოველ ღონეს ღონობს საკაცობრიო ისტორიის მსვლელობაში საკუთარი გზა გაიკაფოს. დამარცხდა სასტიკად და საბოლოოდ.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. შევეჩვიეთ ბოლშევიკურ სისასტიკას და უტიფრობას, შევეჩვიეთ იმასაც, თუ როგორ უხვათ იქიან კრემლის ბატონები თვისი ნათესის ნაყოფს. ზედმეტია დაწვრილებითი ჩამოთვლა ფაქტების. გავისხენოთ მხოლოდ: სილა ინგლისის მუშათა კლასის, თვით ინგლისის მთავრობისა, დამოკიდებულება საფრანგეთის მოსკოვისადმი, ჩინეთის უკანასკნელი ამბები. ჩინეთის სამხრეთში ბოლშევიკებზე ნადირობენ, ჩვეულებრივ მომაკვდავეს ხერხეტენ, ოფიციალურ წარმომადგენლებს საზღვრებისაკენ ერეკებიან. რაშია საქმე? სამხრეთ-ჩინეთის პოლიტიკა ლოკალური ხასიათის არაა—შანხაი, კანტონი დამოუკიდებლათ ვერ შესძლებდენ მოსკოვზე ასე ენერგიულათ შეტევას. აქ ინასკვება უფრო ფართო პოლიტიკის კვანძი. მოსკოვი იოლათ ვერ დასტოვებს ჩინეთის საზღვრებს, იქ მას დიდი ინტერესები აქვს—პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიური. მოსკოვმა, თუ რამე შეუძლია, ჩინეთში

დემოკრატია ცხოვრების აშვებაა, მისთვის კალაპატის გაშლა, გასაქანის მიცემა. ბოლშევიკურმა დიქტატურამ მონიდომა ცხოვრების დაშლა, შეუძლებელის შეძლება, დამარცხდა. პარტიული დიქტატურა, იქცა ჯგუფური, ჯგუფური პიროვნულ დიქტა-

პოზიციები უნდა შეინარჩუნოს. შესძლებს?—საკითხავია. ჩინეთმა ისარგებლა მოსკოვი და შემდეგ პირი იბრუნა. მოსკოვს გონია, რომ ის სხვას იყენებს თავისი მიზნებისათვის, ნამდვილათ კი ის გამოადის დღემდის გამოყენებული სხვისი მიზნებისათვის.

27 წელი სულ მინუსი იყო ბოლშევიზმისათვის. 28 წ. სულ უპერსპექტივაა მისთვის: შიგნით პარტი-აში სამოქალაქო ომი, გარედან პოლიტიკური და მორალური იზოლაცია:—შედეგი—სასაოწარკვეთილება, რაც ხშირათ ავანტიურის ხორცს ისხამს.
ილია ნუცუბიძე.

ს ი ს ლ ი ს ს ა დ ა ს უ რ ი ^{*)}

ამ ორ-სამი დღის წინედ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მან გადაწყვიტა მიიღოს ყოველი ზომა, რაც კი მოსახერხებელი იქნება, რათა დაახაროს იმ ტანჯვის შემსუბუქება, რომელსაც განიცდიან პოლიტიკური პატიმრები საქართველოში.

ამრიგად ეს უბედური ქვეყანა, ასე ხშირად მოტყუებული, მსხვერპლი ამდენი დალატისა, ეგზომ ტანჯული, ხელახლად იპყრობს საზოგადოებრივ აზრს. რა თქმა უნდა, ის ყოველთვის წამოიჭრება ცივილიზაციის შარაგზაზე, როგორც ცოცხალი საყვედური, სანამ ეს ცივილიზაცია თვით ვერ მოიპოვებს საკმარის ძალეებს, უზრუნველყვას თავისუფლება ქართველი ერისა.

საქართველო იტანჯებოდა იმპერატორულ რუსეთის უღლის ქვეშ. მის მამულიშვილებს ჰყრიდნენ ციხეებში, დევნიდნენ ან გზავნიდნენ—სამგლოვანო ნობათებად—ციმბირში; ჩვენ გვყავს აქაც, ყენევაშიდაც კი, მსხვერპლნი და მოწმენი ამ საზარელი ხანისა. ხოლო ბოლშევიკურ რეჟიმმა კი ჩაიდინა უფრო მეტი საზიზღრობა: მან ჯერ აღუთქვა და ხელშეკრულებით განუმტკიცა საქართველოს მისი დამოუკიდებლობა და შემდეგ—თავს დაასხა წითელი ლაშქარი, რომლისთვის ხარჯავს ყოველ წლივ აუარებელ ფულს.

მოსკოვის ხიშტის ქვეშ საქართველო იძულებული გახდა მიეღო ჩაქურ-ნამგლიანი მთავრობა. გამეფდა ტერორი. ჩვენ მრავალჯერ გვქონია ცნობა იმის, თუ რა საშინელებას წარმოადგენდა ჩეკა. გვქონდა ამბები აჯანყებების, თუ როგორ იბრძოდა ხალხი და რა სიმკაცრით აქრობდნენ ამ ეროვნულ მოძრაობას ქვეყნის თავგასული ბატონები. მოსაწყენიც კი გახდა ყოველდღიური აღწერა იმ საშინელი ფაქტებისა, რაც შექმნა ბოლშევიკურ რუსეთმა საქართველოში. ბოლოს თითქო ლაპარაკიც შეწყდა. თუ კიდევ ვინმე გაბედავდა ხმის ამალეებას, ის მალე იგრიზებოდა თავის ტუჩებზე იდუმალ თითს, რომ ჩუმად ყოფილიყო.

იმავე დროს საბჭოთა წარმომადგენლებს, ამ შარალტანურ ქუჩურ ვაჭრებს გამოქონდათ ბანარში თავის საქონელი, გაჰკიდდნენ მის ქებას და შოულობდნენ მომხრეებს.

ნუ თუ არ დადგა კიდევ დრო გავახილოთ თვალები?!

საჭიროა ევროპამ გაიგოს, თუ რა ჰხდება საქართველოში. საჭიროა საბჭოთა რუსეთმა, როგორც ზოგიერთ სხვა მთავრობამ, რომელსაც ბრალი ედებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა «მოგზრებისა», ნება დართოს საერთაშორისო კომიტეტს მოახდინოს ადგილობრივი გამოკვლევა. ის ცნობა, რაც აქამდე მივიღია—შემადრწუნებელია, და საესეებით მოსაწონია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ბ. ყორდანისი, მოთხოვნისა, რომლითაც მიმართა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს.

წყევლი ჩეკა გააუქმეს ამ ორი წლის წინედ. მის მაგიერ შემოიღეს გე-პე-უ, რომელმაც ისევ განახლა ყველა მისი მეთოდები. ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს უფრო ხშირად ჰყრიან სარდაფებში—ნამდვილ საყინულეებში. მათგანი ბევრი მოკლებულია საქმელსაც კი არა ერთი და ორი დღე.

ჩვენ ვიცით სახელები ამ მსხვერპლებისა, განსაკუთრებით სოც.-დემ. პარტიის წევრებისა, განუსამართლებლად დახვრეტილების მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაიზიარეს მოსკოვური დოქტრინა; ჩვენ ვიცით სახელები იმ ხალხის, რომელიც იქმნა შეპყრობილი და მდინარეში ჩადებულნი რაიმე დაბეჭდების გამოსაგლეჯად; ვიცით სახელი იმ მკერავი ქალისა, რომელიც გაატიტვლეს და ჩაადგეს ცივ ოთახში, სადაც გარღვეული სახურავიდან ჩამოდიოდა თოვლიცინვა და საიდანაც ის საცლდავი გამოვიდა მიძიდ დმსნეულეებული. ამავე დროს თუ საპყრობილედან გამოჰყავდათ ვინმე, მხოლოდ იმისთვის, რომ გადაეყვანათ მეორე სარდაფის საწამებელ ჯურღმულში.

თუ ვინმე გადაუჩნება ამ ნაირ-ნაირ წამებას, იმას გზავნიან სოლოვაში სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად; ციმბირისკენ მისდის განუწყვეტელად იგივე რაზმები მამულიშვილებისა, როგორც წინედ, მეფის დროს.

საქართველოს ერთ პროვინციაში, გურიაში, გამოცხადებულია სამხედრო წესები. იქ ატუსაღებენ გლენებს მასსიურად; გლენები გარბიან და იმალებიან ტყეებში. თბილისის ციხე სასეა. ცნობა და აღწერა ამ საშინელებისა მოყონავს საზღვრებში და გამოადის საზღვარ-გარე.

მეტად საინტერესოა ვნახოთ. თუ რას იზამს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

მეორე მხრივ ნუ თუ «ერთა ლიგა» არაფრით გამოეხმაურება ამ ამბებს?

ერთა ლიგამ, გატაცებულმა მაღალ მისწრაფებით მშვიდობიანობის დასამყარებლად, უკვე მისცა

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო Journal de Geneve-ის გასული წლის დეკემბრის 22-ის №-ში. მისი ავტორი ედუარდ შაპიუზა არის ამ განეთის რედაქტორი.



საბჭოთა რუსეთს კაცობრიობასთან შერიგების შესაძლებლობა. რა გამოვიდა? ბოლშევიკებმა ეს შესაძლებლობა გამოიყენეს საბრძოლველად და განიარაღების შესახებ მოითხოვეს ზომანი პირდაპირი საწინააღმდეგონი იმისა, რაც მათივე სიტყვით თვითონ აქვთ თავის ქვეყანაში მიღებული და მოწონებული.

ნუ თუ ეს ფაქტები ესლაც არ ავალებენ ერთა ლიგას გადასინჯოს თავის შეფასებანი? თუ მას არ შეუძლიან ჩაერიოს სახელმწიფოთა შინაურ პოლიტიკაში და ამ გზით ვერ მოახერხებს შეაჩეროს საქართველოში გამეფებული ტანჯვა-წამება. ნუ თუ კიდევ საკადრისი იქნება მისთვის განაგრძოს ლაპარაკი საბჭოთა რუსეთთან? ნუ თუ კიდევ მოიწვევს მას თავის კონფერენციებზე და გვერდით მოისვამს თავის მკვლავს? ნუ თუ კიდევ იკადრებს ჩამოართვას მას

ხელი, სანამ ეს ხელი ქუჩუყიანია და სისხლით შეღებილი!

არ შეიძლება თვალის დახუჭვა იქ, სადაც ლაღებს მკვლელობა: ეს ხომ იქნებოდა სისხლის საფასურის განაწილება?

ერთა ლიგამ და განათლებულ სახელმწიფოებმა, თანახმად მათი მაღალი გრძობისა, უნდა მოწახონ ღონისძიება, რომ მოხარონ პოლიტიკური წინააღმდეგობა რუსეთისა მშვიდობიანობის დამყარებისათვის. უნდა მოხარონ რუსეთს და ხელი ააღებინონ მას ყოვლად ბნელ და ბარბაროსულ ჩვეულებას, რომლითაც იგი ლამობს თვალის აუხვიოს გულუბრყვილო სტუმრებს, მაგრამ ვერ ჩააქრობს და ვერ მიადუჩინებს ერის გმინვას და მოწოდებას.

Ed. Ch.

უკრაინელთა გამათავისუფლებელი ბრძოლა.

ემილ შტრაუსისა.

რედაქციისაგან. ამ სათაურით დაბეჭდილი იყო ბ. ემილ შტრაუსის ვრცელი წერილი გერმანულ ყოველთვიურ მეცნიერ ჟურნალში, «დი გენერალშაფტ» (№ 9, 1927), რომელიც გამოდის გერმანიის ს.-დემოკრატიის ცნობილ თეორეტიკოსის, რუდოლფ ჰილფერდინგის რედაქტორობით ბერლინში. უკრაინის პრობლემა უეჭველათ უდიდეს როლს ითამაშებს მოსკოვის მიერ ჩაგრულ ერთა ბედის გადაწყვეტაში. ამიტომაც, რომ ყველა რუსული პარტიები, თვით რუსის თითქმის ყველა სოციალისტური წრეები, გადაჭრით წინააღმდეგნი არიან უკრაინის დამოუკიდებლობის, რის გამოც ხარე პოლემიკა სწარმოებს ესლა რუსსა და ქართველ სოციალისტებს შორის (იხ. ამასწინად რუსულ ენაზე პარტისში გამოსული ბ. ნოე უორდანაის წიგნაკი «ნაში რანოვლასია»). ბ. შტრაუსის წერილი, გარდა იმისა რომ უკრაინის ეროვნულ ბრძოლის მოკლეთ და მოხდენილათ მოთხრობილ ისტორიას შეიცავს, იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ მასში თავიდან ბოლომდე დაცულია ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. მნიშვნელოვანია აგრეთვე რომ ის დაიბეჭდა გერმანიის ს.-დ. პარტიის მთავარ სამეცნიერო ორგანოში. რედაქციამ საჭიროთ დანიხა გაცნოს მკითხველს ამ წერილის შინაარსი.

«1870-71 წ. ომმა იტალიას და გერმანიას ეროვნული გაერთიანება მიანიჭა. მსოფლიო ომმა უცხო ერთა ბატონობისაგან გაანთავისუფლა შუა და აღმოსავლეთ ევროპის ერთა მთელი რიგი, რამდენიმე სხვებს მოუპოვა ეროვნული გაერთიანება. მან მისცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჩეხებს, პოლონელებს, ლატვიელებს, ლიტველებს, ფინებს, მიპკვარა გაყრილი ძმები სერბიის და რუმინიის სახელმწიფოთ. მაგრამ ომის დასრულება არ მოასწავებდა ევროპაში ეროვნულ რევოლუციათა დასრულებას. საწავო ხელშეკრულებებმა ხელახლა შექმნა მნიშვნელოვანი ეროვნული უმცირესობანი. ამათ შორის უცხო ერთა ბატონობის ქვეშ იმყოფება უკრაინელთა ხალხი, რომელიც 35 მილიონ წევრს ითვლის. მისი მიწაწყალი და მცხოვრებნი დანაწილებული არიან ოთხ სახელმწიფოთა შორის: რუსეთი, რუმინია, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია.

ისე როგორც კარლ მარქსი აღიმაღლებდა თავის ხმას ჩაგრულ პოლონეთის და ირლანდიის დასაცავათ, საერთაშორისო სოციალიზმი უნდა გახდეს ყველა დამონავებულ ერთა მოქმედი დამცველი. ამას მოითხოვს არა მარტო ამ ერთა ინტერესი, არამედ

აგრეთვე ევროპის დემოკრატიულ განვითარების და ხალხთა შორის ზავის დამკვიდრების საქმე. უკრაინულ პრობლემის გადაჭრისაგან დამოკიდებულია ზავი აღმოსავლეთ ევროპაში. ისე როგორც იუგოსლავთა გაერთიანების მისწრაფებანი და ავსტრიის წინააღმდეგობა იყო ერთი მთავარ მიზეზთაგანი მსოფლიო ომისა, აგრეთვე უკრაინელ ნაციის დაქუცმაცება შეადგენს მუდმივ საშიშროებას მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთით. ამიტომაც ყველა ერის სოციალისტები ვალდებულნი არიან გულმოდგინეთ ადვენონ თვალყური უკრაინელ გლეხთა და მუშათა ბრძოლას თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის».

ამ შესავალს მოსდევს მოკლე აღწერა უკრაინის ისტორიისა. მე-9 საუკუნეში დაარსებული პირველი უკრაინული სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენდა რამოდენიმე სამთავროთა კავშირს კიევის მეთაურობით, წარმატებით იგერიებს ჩრდილოეთში წარმოშობილ მოსკოველთა სახელმწიფოს იერიშებს. სანამ ამ უკანასკნელთან ერთად უკრაინულ კიევის არ გასრესენ ჩინგისყაენის ურდოები (მე-13 საუკ.). მეორე ცენტრი უკრაინულ ეროვნულ ცხოვრებისა წარმო-

იშვა მე-11 საუკუნეში ესლანდელ აღმოსავლეთ გალიციაში ორი სამთავროს, ვალჩის და ვოლინის, სახით, რომელნიც გაერთიანდნენ 1199 წელს. მაგრამ მე-14 საუკუნეში ეს გაერთიანებული სამთავრო გაიყვეს პოლონეთმა და ლიტვამ; საბოლოათ კი, როცა (1569 წ.) ლიტვა პოლონეთმა შეიერთა, მთელი უკრაინული გალიცია უკანასკნელის ბატონობის ქვეშ მოექცა. მე-17 საუკუნეში უკრაინულ ეროვნულ მოძრაობის ცენტრს წარმოადგენს დონის და დონეცის, ვანსაკუთრებით დნეპრის რაიონი, საცა აღორძინდა მომეტებული პოლონეთიდან გადმოხიზნულ უკრაინულ გლეხობისაგან ცნობილი «ზაპაროჟსკაია სეჩ», უკრაინულ თავისუფალ კონაქთა ერთგვარი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ედგა არჩეული პეტმანი. 1648 წელს პეტმან ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით უკრაინელებმა დაამარცხეს პოლონეთი და აღადგინეს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო. 1654 წელს, მომავლის უზრუნველსაყოფათ პოლონეთისაგან, ხმელნიცკი პკრავს მოსკოვთან «პერსონალურ უნიას». უკრაინას უნდა შერჩენოდა ავტონომია, მისი დემოკრატიული წესწობილება და პეტმანი. რა თქმა უნდა, მოსკოვმა მალე გააბათილა უკრაინის თავისუფლება და პეტმანის თანამდებობაც აჩრდილათ აქცია. ხოლო ათიოდ წლის შემდეგ ის შეუთანხმდა პოლონეთს: დნეპრის მარცხენა ნაპირი ზედა რუსეთს, მარჯვენა პოლონეთს. ამით მოეღო ბოლო უკრაინის თავისუფლებას ძველს დროში. მრავალი ცდა აჯანყების საშუალებით თავისუფლების დაბრუნებისა (სხვ. შორის მახუპას კავშირი შვეციასან) უნაყოფო გამოდგა. პოლონეთის დაყოფამ (მე-18 საუკუნის დასასრულს) უკრაინის დიდი ნაწილი რუსეთს არაუნა, მხოლოდ აღმოსავლეთი გალიცია მიეკუთვნა ავსტრიას. უკრაინელებმა გაიზიარეს «უისტორიო» ერთა ბედი.

უკრაინელთა ყველა დამპყრობნი მიმართავდნენ ერთსა და იმავე საშუალებას: სობოდენ ან და გადაგვარების გზაზე აყენებდნენ უკრაინის თავადაზნაურობას—მაშინ ეროვნულ კულტურის და სახელმწიფოებრიობის მთავარ მატარებელს, ხოლო გლეხობაზე აბატონებდნენ დამპყრობ ერის მებატონეებს. 1764 წელს გაუქმებულ იქნა პეტმანის თანამდებობა. 1775 წელს მოსპობილ იქნა ზაპაროჟის კონაქთა რესპუბლიკა, 1783 წელს რუსული ბატონობა გავრცელებულ იქნა აგრეთვე უკრაინულ გლეხობაზე. 1820 წელს აიკრძალა უკრაინული წიგნები. გარდა საეკლესიოსა. ხოლო 1863 წელს აიკრძალა საზოგადოთ ყოველივე წიგნის დაბეჭდვა უკრაინულზე. აგრეთვე უკრაინულ პიესების წარმოდგენა. კრებები და ლექციები უკრაინულ ენაზე და უკანასკნელი განიდევნა დაწესებულებებიდან და სკოლებიდან როგორც სალაპარაკო ენაც კი. განიდევნა თვით სახელწოდება «უკრაინა» და შეცვლილ იქნა «მალაროსიით». რუსიფიკაციის პოლიტიკას თან დაერთო ეკონომიური ყვლეფა. რუსეთი სავარეო ვალის პროცენტებს უკრაინის ხორბალით ინდიდა, რომელიც, მაგ. 1913 წ., მთელი ექსპორტის 82,9 პროც. შეადგენდა. 1898 წლიდან 1910-მდე 9 უკრაინულ გუბერნიიდან რუსეთს შემოსდიოდა 5894 მილიონი მანეთი, ხოლო ინარჯებო-

და ამ გუბერნიებზე—3289 მილიონი. როცა რუსეთში კაპიტალიზმის აღორძინების ხანა დაიწყო, მიუხედავთ უკრაინის მრავალფეროვანი სიმდიდრისა, მეფის მთავრობამ შეაფერხა მისი სამრეწველო განვითარება და ინდუსტრიის ცენტრები შუაგულ რუსეთში და ურალზე შექმნა. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იდგამს ფეხს და სწრაფად ვითარდება მსხვილი ინდუსტრია უკრაინაში. უკვე 1904 წელს უკრაინის მონაწილეობა რუსეთის წარმოებაში შეადგენს: რკინა და ფოლადი—42,2 პროც., ნახშირი—48,7 პროც., ჩამოსასხამი რკინა—63,1 პროც., რკინის მადანი—70 პროც. ამ აღორძინებამ წარმოშვა მრავალრიცხოვანი უკრაინული მუშათა კლასი და წვრილი ბურჟუაზია; ამვე დროს სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ მოაღონიერა ეკონომიურათ გლეხობა.

როგორც სხვა მრავალი ჩაგრული ერი, უკრაინელებიც კაპიტალისტურმა განვითარებამ გამოიყვანა ხელახლა ისტორიულ ცხოვრების გზაზე. ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად აღორძინდა ეროვნული კულტურაც, რომლის მატარებელი შეიქმნა ახალი სოციალური კლასები. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასასრულს მოევილინა უკრაინას დიდი ეროვნული მგოსანი, რომელიც უკრაინულ ხალხურ ენაზე სწერდა, ივანე კოტლიარეუსკი (1766-1838). მაგრამ მთელი სიდიადე ეროვნულ შემოქმედებისა გამოისახა ტარას შევჩენკოში; ეს ყმა-გლეხი გახდა თავისი ერის უდიდესი მგოსანი, რომელიც აღვიძებდა უკრაინელთა მიძინებულ ეროვნულ შეგნებას და მოუწოდებდა მოსკოვის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. შევჩენკომ დაარსა კიევი (1846 წ.) «მობა», რომლის პროგრამის მთავარი მოთხოვნილება იყო—უკრაინის რესპუბლიკა. საზოგადოება 1847 წ. განადაგურა მეფის მთავრობამ, ხოლო მის დამარცხებულთ, მათ შორის შევჩენკოსაც, ციხე-გადასახლება ხვდათ. იგივე ბედი ეწვია მეორე, 70-იან წლებში დაარსებულ, საზოგადოება «გრომადან»-ს.

სამაგიეროთ ეროვნულ-კულტურულმა აღორძინებამ ფრთა-გაიშალა ავსტრიის გალიციაში, საცა რუსეთთან შედარებით გაცილებით უფრო თავისუფალი პირობები იყო. 60-ან წლებში იწყება აქ ლიტერატურული მოძრაობა, არსდება «შევჩენკოს საზოგადოება» მეცნიერულ კვლევისათვის, ლვოვის უნივერსიტეტში თავს იჩენს უკრაინელი ისტორიკოსი გრუშევსკი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ეროვნულ აღორძინებაში (ეხლაც ცოცხალია). მის ირგვლივ იკრიბება ინტელიგენცია, ვითარდება მრავალმხრივი მეცნიერული მუშაობა და ლიტერატურული შემოქმედება ხალხურ უკრაინულ ენაზე. ამას თან სდევს გალიციის უკრაინელთა პოლიტიკური დაწინაურება, არსდება უკრაინული რადიკალური პარტია. 1907 წ. ავსტრიის პარლამენტი უპირველათ შესდგება საყოველთაო საარჩევნო უფლებების საფუძველზე; უკრაინელთა გაპყავთ 30 დეპუტატი.

უდიდესი გავლენა იქონია უკრაინულ ეროვნულ მოძრაობაზე 1905 წლის რევოლიუციამ რუსეთში, რასაც მოჰყვა ლიტერატურაში უკრაინულ ენის ხმარების აკრძალვის გაბათილება. ამიერიდან მოძრაობაში ჩაბმული არის არა მარტო ინტელიგენცია,



არამედ წვრილი ბურჟუაზია, გლეხობა და მუშათა კლასი.

როგორც სხვა მრავალ ახლად აღორძინებულ ერთა გამათავისუფლებელი მოძრაობა, უკრაინული ეროვნული ბრძოლაც მჭიდროთ დაკავშირებულია სოციალისტურთან. უკრაინის მრწველობის სწრაფმა განვითარებამ მიიზიდა მის ქალაქებში მრავალი რუსი მუშები (16,5 პროც. შეადგენენ უკრაინის მუშათა საერთო რიცხვს). ამით აინხნება, რომ პირველი ვავლენიანი სოციალისტური პარტია უკრაინაში იყო რუსეთ. სოც.-დემ. პარტია, რომელშიც აგრეთვე უკრაინელი მუშებიც შედიოდნენ. მაგრამ იმდენათ ვარდაუვალი იყო ეროვნულ თავისებურებისათვის ანგარიშის გაწევა, რომ ეს ცენტრალისტური პარტიაც კი იძულებული გახდა გამოეყო სპეციალური უკრაინული ორგანიზაცია «სპილკა»-თ წოდებული, რომელიც ავტონომიურათ აწარმოებდა მუშაობას უკრაინელ მუშათა შორის. ხოლო 1905 წ. დაარსდა «უკრაინული სოც.-დემ. პარტია», რომელმაც შემოიკრიბა უკრაინელი მუშები და 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ გადაამწყვეტი როლი ითამაშა.

თებერვლის რევოლიუციამ ძალაუფლება უკრაინაში მიანიჭა უკრაინის გლეხთა, ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოების მიერ გამოყოფილ აღმასრულებელ ორგანოს, ცენტრალურ რადას. თავიდან რადა ითხოვდა არა დამოუკიდებლობას, არამედ ტერიტორიულ ავტონომიის სახელმწიფოთა ფედერაციის ფარგლებში. მას შემდეგ, რაც ამის თანხმობა მან ვერ მიიღო ვერც დროებითი, ვერც საბჭოთა მთავრობისაგან, 1917 წლის 20 ნოემბერს ცენტრ. რადამ გამოაცხადა უკრაინის სახალხო რესპუბლიკა. ამავე დროს დადგენილ იქნა ჩამოერთვას მამულები მებატონეებს და ეკლესიას და დაწესდა 8 საათის სამუშაო დღე. ეროვნულ უმცირესობებს მიენიჭა პერსონალურ-ეროვნული ავტონომია. პრემიერ მინისტრათ არჩეულ იქნა ს.-დ. ვინიჩენკო, ფინახსთა—ცნობილი ეკონომისტი ტუგან-ბარანოვსკი, სამხედრო მინისტრათ—პეტლიურა. რუსებისა, ებრაელებისა და პოლონელებისათვის დაინიშნა ეროვნული მინისტრები. უკრაინის განთავისუფლებას მოჰყვა დიდი კულტურული აღორძინება. ყველა დაწესებულებებში და სკოლებში შემოღებულ იქნა უკრაინული ენა, გაიხსნა უთვალავი ახალი სახალხო სკოლა, 150 საშუალო, 40 სამასწავლებლო, ორი უკრაინული და ერთი რუსული უნივერსიტეტი, ხელოვნების აკადემია და სხვ. ცენტრ. რადამ, რა თქმა უნდა, არ იცნა უკრაინისთვის საბჭოთა ხელისუფლება და გადასწყვიტა უკრაინის დამფუძნებელ კრების მოწვევა. 1918 წ. იანვარში მოხდა დემოკრატიული არჩევნები, რომელშიაც უკრაინულმა პარტიებმა მიცემული ხმების 75 პროც. მიიღეს¹⁾. ამგვარათ მოსახლეობამ გადაჭრით დაადასტურა უკრაინის ცალკე სახელმწი-

ფოთ გამოყოფა. მაგრამ აქ იწყება «უკრაინის გოლგოთა». ბოლშევიკები დარწმუნდნენ, რომ მისი დაბრუნება მხოლოდ ძალით შეიძლებოდა და მიუხიეს თავისი ჯარები. არჩეულმა დამფ. კრებამ ვერც კი მოასწრო შეკრება. 10 თებერვალს, დედაქალაქისთვის 12 დღის ბრძოლის შემდეგ, მთავრობამ დასტოვა კიევი, რომელიც რუსის ჯარებმა დაიკავეს. მაგრამ ამათაც არ დასცალდათ. 1918 წლის გაზაფხულზე უკრაინას დასავლეთით მოაწვა გერმანია-ავსტრიის ჯარები, რომლებმაც ქვეყნის უდიდესი ნაწილი დაიპირეს. მათი მთავარი მიზანი იყო პური, მაგრამ რადის მიერ განთავისუფლებული გლეხობა წინააღმდეგობას უწევდა უცხოელებს და პურს არ იძლეოდა. ამიტომ ესენი დაეყრდნენ რუს და პოლონელ მებატონეებს, გარეკეს რადა და დააწესეს ახალი მთავრობა რუსის გენერალ სკოროპადსკის მეთაურობით, რომელმაც თავი პეტმანათ გამოაცხადა. როცა შემოდგომაზე (1918) დამარცხებულმა გერმანია-ავსტრიამ თავისი ჯარები გაიყვანეს უკრაინიდან, სკოროპადსკიმ გამოაცხადა «ფედერაცია» რუსეთთან. მაგრამ გვიანდა იყო. მთელ უკრაინაში იფეთქა გლეხთა და მუშათა აჯანყებულს, რომლის მეთაური იყო დირექტორია ვინიჩენკოს ხელმძღვანელობით. ამავე დროს ადგენ უკრაინის დასავლეთი ნაწილები: შესდგა აღმოსავლეთ გალიციის, ბუკოვინის და ჩრდილო-უნგრეთის უკრაინელთა ეროვნული საბჭო, რომელმაც გამოაცხადა ამ უკრაინულ მხარეების შეერთება უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან. აჯანყებულმა ხალხმა დაამხო «პეტმანის» მთავრობა, დაიბრუნა კიევი და მიიწვია «სრულიად უკრაინის მშრომელ ხალხის კონგრესი», რომელმაც 1919-ის იანვარში კვლავ დემოკრატიული რესპუბლიკა დააწესა. მაგრამ დასრულდა თუ არა კონგრესი, უკრაინას ყოველმხრიდან მოაწვა მტერთა ჯარები: ჩრდილოეთით—ბოლშევიკები, აღმოსავლეთით—დენიკინის თეთრგვარდიელები, პოლონელები შეესიენ აღმ. გალიციას და ვოლინიას, რუმინელებმა დაიკავეს ბუკოვინა, ჩეხოსლოვაკებმა—ჩრდილო უნგრეთი (კარპატის რუხი), ოდესშიუ გადმოსხეს ფრანგების და ბერძნების ჯარები—დაიწყო სასახელო, მაგრამ უსწორო ბრძოლა ყველა მიმართულებით. უკრაინის ჯარები იძულებული გახდნენ დაეხიათ გალიციიდან, სამაგიეროთ კვლავ დაიბრუნეს დაკარგული კიევი და გარეკეს შავი ზღვისაკენ დენიკინის ჯარები. მაგრამ ჩრდილოეთით კვლავ მოაყარა მოსკოვმა წითელი არმიები. დასუსტებულმა, უიარაღო და ტიფით განახევრებულმა უკრაინულმა ჯარებმა ველარ გაუძლეს ამოდენა მტერს: უიმედო ბრძოლა ერთხანს კიდევ გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს ეროვნული ჯარი იძულებული გახდა პოლონეთს შეფარებოდა. ბოლშევიკურმა რუსეთმა დენიკინის და სხვა მრავალთა დახმარებით კვლავ ჩაახრჩო უკრაინის დამოუკიდებლობა. 1920 წ. დამლევს პოლონეთმა და რუსეთმა ზავი ჩამოაგდეს, ისტორია განმეორდა: მათ კვლავ გაინაწილეს უკრაინა.

¹⁾ აღსანიშნავია, რომ უკვე რუსეთის დამფ. კრების არჩევნებში, უკრაინის სოც.-დემოკრატიამ და უკრაინის ს.-რევოლიუტ. მიიღეს მიცემული ხმების სამი მეოთხედი.

ავტორი ასწერს თავისუფლებისათვის მებრძოლ უკრაინელ მუშათა და გლეხთა წამება-ხვრეტას. უკრაინის გაძარცვას და სხვ. ჩვენთვის კარგად ცნობილ




«სიკეთეს», რაც ოკუპაციამ მოუტანა მოსკოვის მიერ ჩაგრულ ერებს. საოკუპაციო მთავრობას სათავეში უდგა რაკოვსკი.

1929 წ. დეკემბერში დადებულ იქნა ე. წ. «საფედერაციო» ხელშეკრულება. ნამდვილათ კი ყველაფერს მოსკოვი განაგებდა. აღორძინების გზაზე დამდგარი უკრაინის კულტურა კვლავ ჩამოქვეითდა... რუსული ენა აღდგენილ იქნა. შეფერხდა უკრაინელთა ეროვნულ-კულტურული წინსვლა აგრეთვე სხვა სახელმწიფოშიაც, გარდა ჩეხოსლოვაკიისა, რომელიც ამ მხრივ ერთგვარ თავისუფლებას ანიჭებს «კარპატის რუს»-ს.

1922 წლის დეკემბრის დამლევს დაწესდა ს. ს. რ. კავშირი, რომელშიაც ერთ-ერთ შემდგენელ ნაწილათ შედის საბჭოთა უკრაინა. «კონსტიტუცია მხოლოდ გარეგნულათაა ფედერატული, ნამდვილათ კი სასტიკათ ცენტრალისტური და ველიკორუსულია». ამის დასამტკიცებლათ ავტორს მოჰყავს თვით ბოლშევიკურ-უკრაინული დოკუმენტები და განაგრძობს: «ბოლშევიკური დიქტატურა უკრაინაში სხვა სახისა, ვინემ რუსეთში: ეს არის დიქტატურა უცხო ერის ბატონების მთელს ხალხზე. თუ რუსეთში მას ნაციონალურ-რუსულ ძალების ბატონობის სახე აქვს, უკრაინაში მოსახლეობის ყველა კლასებისათვის ის არის უცხო დამპყრობთა კლასის ბატონობა, შედგენილ რუსულ იმპერიალიზმის, რომელიც გამოსახავს არა რუსეთის პროლეტარიატის, არამედ ახალი ეკონომიურ და ჩინოვნიკურ ბურჟუაზიის ინტერესებს». «საბჭოთა სისტემამ უკრაინის მშრომელ მოსახლეობის სოციალური ინტერესებიც კი ვერ დაიცვა». თვით საბჭოთა სტატისტიკა ამტკიცებს, რომ უკრაინაში მუშა ნაკლებ ხელფასს იღებს, ვინემ ველიკორუსიაში. რაც შეიკება გლეხს, პურიც მიდიდარმა უკრაინელმა გლეხმა განიცადა საშინელი შიმშილი 1922 წელს, მაშინ როდესაც მის ქვეყანაში ნატურალურ გადასახადის სახით 80 მილიონი ფუთი პური აიღეს ვოლგის რაიონის სასარგებლოთ. «პროდნალოგმა» საზოგადოთ საშინლათ დააზიანა უკრაინის გლეხი და დაქვეითა პურის წარმოება. ვინაიდან ბოლშევიკებს არავითარი ვაგლენა არ აქვთ უკრაინის მუშებსა და გლეხთა შორის, ისინი ეყრდნობიან რუსეთიდან მოსულ აუარებელ «პარტიულ მუშაკებს», საბჭოთა და პარტიულ ჩინოვნიკებს, და საზოგადოთ უკრაინისადმი მტრულათ განწყობილ ქალაქის ბურჟუაზიულ წრეებს, ისე როგორც წითელ არმიას.

«ევროპის ისტორია უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, უისტორიო ერთა აღორძინება, გერმანელთა, იტალიელთა, ბერძენთა, რუმინელთა, ბულგარელთა, იუგოსლავთა, ჩეხთა, პოლონელთა, ლატვიელთა, ლიტვიელთა, ფინთა და ესტონელთა სახელმწიფოებრივ ერთეულები შექმნა გვასწავლის, რომ პოლონელი და რუსი მბრძანებელი კლასები ვერ შესძლებენ ხანგრძლივით დაახლოთ ოთხ სახელმწიფოს შუა ვაგლეჯილ უკრაინელთა მისწრაფება თავისუფლებისა და გაერთიანებისაკენ; ეს მისწრაფება იქნეს თავის ძლიერებას კაპიტალისტურ საზოგადოების ეკონომიურ განვითარებისაგან, ევროპის დემო-

კრატიის პოლიტიკურ წინსვლისაგან და ყველა ქვეყნის მუშების კლასიურ შეგნების ზრდისაგან. უკრაინის თავისუფლების მოწინააღმდეგეთა მტკიცება, თითქოს უკრაინელი ენა გლეხური დიალექტი, რუსულის თუ პოლონურის დამახინჯებული კილოვანი იყოს, წერილმან და უსუსურია მომქმედ ისტორიულ ძალებთან შედარებით. მრავალ მეცნიერთა კვლევამ ცხადჰყო ამგვარ მოსახრებათა უფარგისობა. და თვით პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიამ გარკვეულათ დაადასტურა 1905 წ., რომ რუსული და უკრაინული სხვადასხვა ენებია. მაგრამ სრულიად არ არის საჭირო თავის მტვრევა ფილოლოგიურ საკითხის გამო: უკრაინელთა ისტორია, განსაკუთრებით უკანასკნელი ხანის, ცხადჰყოფს, რომ უკრაინელები საერთო ბედის მიერ შექმნილ განკერძოებულ სასიამოთის მთლიან ერთეულს შეადგენენ, რაც ოტო ბაუერიმ თავის საფუძვლიან შრომაში ნაციონალთა საკითხზე ერის დამახასიათებელ თვისებებათ აღიარა. თავისუფლების და გაერთიანების იდეამ ფესვი გაიდგა მთელ უკრაინელ ხალხში და ეს ნებისყოფა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა სწორედ ისტორიის ნაცხოფია. თუ გინდ მოკლე ხნის განმავლობაში, უკრაინის ხალხი ფლობდა საკუთარ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რეველიუციის ცეცხლში გადადგა მან პირველი ნაბიჯები საკუთარ სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ნიადაგზე. ევროპის სოციალიზმს ყველა საბუთი აქვს, მხარი დაუჭიროს მორალურათ უკრაინის ხალხის ბრძოლას. ერთი იმიტომ, რომ მარქსის შემდეგ საუკეთესო სოციალისტურ ტრადიციათ გადაიქცა ყოველივე სოციალურ და ნაციონალურ ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა და იმიტომ აგრეთვე, რომ უკრაინულ პრობლემებს გადაჭრა შეადგენს ერთს წინასწარ პირობათაგანს მშობლიობისა აღმოსავლეთში და მამასადამე მსოფლიო ზავისაც. ბალკანეთში ნაციონალურ ურთიერთობის მოუწესრიგებლობა წარმოადგენდა ერთი საუკუნის განმავლობაში ომის საშიშროების წყაროს, ავსტრიის სლავურ ერების მისწრაფება ნაციონალურ თავისუფლებისაკენ იყო ერთი მიზეზთაგანი მსოფლიო ომისა. ომის საშიშროების წყაროს მოსპობას აღმოსავლეთში მოითხოვს მუშათა კლასის წინსვლის და ევროპიულ კულტურის განვითარების ინტერესი. ამიტომაც რუს, უკრაინელ, პოლონელ, რუმინელ და ჩეხოსლოვაკელ სოციალდემოკრატების ვალია სავსებით შეუთანხმდენ ერთმანეთს აღმოსავლეთის ეროვნულ საკითხების შესახებ. ამ თანხმობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, რომლის განხორციელებას არ უნდა დაედოს არავითარი სხვა სახლვარი, გარდა საერთაშორისო სოციალიზმის საერთო ინტერესისა. სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალს წინ უდევს დიდი პრობლემა—შეიქმნეს უმაღლესი ინსტანცია აღმოსავლეთში ნაციონალურ საკითხის მოწესრიგებაში. ვინაიდან ეს მოწესრიგება შეადგენს ერთს წინასწარ პირობათაგანს სოციალიზმის განხორციელებისათვის; ხოლო უკრაინელებისათვის ის მოასწავებს ბედნიერ დაბლოვებას მრავალსაუკუნოებრივ სვლისა გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის გზაზე».



უცხოეთის მიმოხილვა.

1927.

გასულ წელს იმდენ მოვლენას და ფაქტს ჰქონდა ადგილი საერთაშორისო ცხოვრებაში, რომ მათი აღნუსხვაც არ არის ადვილი ერთ წერტილში. ჩვენ მოგვიხდება შევეხეთ მხოლოდ უმთავრეს მათ შორის და ისიც გაკვრით. თან საკითხების დიდი ნაწილი გადაუჭრელათ გადმოვიდა ახალ წელში. ჩვენ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასული წელი განსაკუთრებით უნაყოფო იყო, თითქოს ყველაფერი ერთ წერტილზედ გაიყინა. ლოკარნოს იმედებიც სადღაც მიიშალა და ევროპა ერთგვარ შიშთანამდამ მოიცო.

რასია საქმე? იმაში, რომ 1927 წ. ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფოები ძალზე გადიხარენ მარჯვნივ. სოციალისტურნი მთავრობანი დაეცენ, დემოკრატიული პარტიებიც ხელისუფლების გარეთ დარჩენ, თითქოს ბურთი და მოედანი კონსერვატიზმს დარჩა და აქედან მისი ძველი კლირმატიური მეთოდებიც ზედაპირზედ ამოსცურდა. მაგრამ, ვინაიდან ამ მეთოდების უფარვისება კიდევ დიდმა ომმა დაამტკიცა, აქედან წარმოიშვა რყევა, შიშთანობა.

ამასთანავე ბოლშევიზმმა და მისმა ტყუპმა—ფაშისტმა დიდის ზეიმით გადაიხადეს 10 და 5 წლის თავი. რა თქმა უნდა, ამ ზეიმებმა ვერ დამალა მათი სიძულესობა, დიქტატურა კიდევ უფრო გაშიშვლდა, უფლება და პატივ ახდილნი ხალხნი კიდევ უფრო დაუპირდაპირდნენ მას.

ამას ზედ დაერთო შეერთებულ შტატების ფინანსიური «დიქტატურა». ეხლა უკვე არ მალავს ამას ამერიკა, აშკარათ იძლევა დირექტივებს და ურჩობ რეპრესიებით ემუქრება; იარაღიც ხომ საშინელი უჭირავს ხელში: დოლარი. თვით ზნეობრივ სფეროშიც უტოდველობას იჩემებს ამერიკა, ანჩხლობს კიდევ; როცა სიტყვას შეუბრუნებენ, ამის მაგალითი საკო და ვანცეტის «ელექტროფიკაცია» იყო, წინამდებეჯაცობრიობის სინიღისისა.

გამოსავალი? ბევრი ფიქრობს, რომ იგი 1928 წ. მოიხსნება. ჩვენ არ შევუდგებით წინასწარმეტყველებას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ გარემოებას: ამ წელს უნდა მოხდეს არჩევნები საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში (პრეზიდენტის). რა შედეგს მოგვეცემს ეს არჩევნები? დემოკრატიულს—ამბობენ, და თითქოს ამის ნიშნებიც არ გვაკლია. საპარლამენტო, პროვინციულ, მუნიციპალურ არჩევნებში ყველგან (ნორვეგია, გერმანია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია) მემარცხენეთ ზვდათ გამარჯვება გასულ შემოდგომას. ამბობენ ამიტომ—ეს წინამორბედი ახალ გამარჯვებათაო.

ერთა ლიგა.

ერთა ლიგაც სწორეთ ამ დემოკრატიულ სიოსგან ელის თავის განაფხულს! ყველას გვახსოვს პატარა ერთა «ჯანყი» სექტემბრის სესიაზედ. ამის მიზეზი ორი იყო: ა) დიდი ერების წარმომადგენელნი აბუხათ გვიგდებენ—ამბობდნენ პატარათა წარმომადგენელნი—, არ მოაქვთ ლიგაში მნიშვნელოვანი საკითხები და, რაც მოაქვთ, იმასაც თვითონ სწყყეტენო; ბ) ლოკარნო იცავს მხოლოდ რენინის საზღვრებს, დანარჩენი საზღვრები კი არაა უზრუნველყოფილი, გა-

ნიარალების საკითხიც უძრავათაა, საყოველთაო გარანტიაც გვაკლიაო. გრძელ და ნაწილათ არასასიამოვნო დებატების შედეგი ერთი მკლე რეზოლიუცია გამოდგა, რომელიც დეკლარატიულათ კრძალავს არა ომს საზოგადოთ, არამედ შემტევ ომს.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ პატარა ერთა ჩივილი ყოველთვის სამართლიანი იყო. დიდები მეტ პასუხისმგებლობას გრძობენ ომისა და ზავის საკითხში, მათ უხდებთ უმთავრესათ მსხვერპლის გაღებაც, ამიტომ ძალაუვნებურათ მეტ თავდაპყრილობას იჩენენ და წინასწარ ამზადებენ ნიადაგს ურთიერთ შორის. ამას ზედ ერთვის ინგლისის თავისებური პოზიცია: ჩვენ არ შეგვიძლია—ამბობენ მისი მესვეურნი—ყველა საზღვრების დაცვაში შემოვიდეთ, გვეყოფა რენინიც და თან ისიც, რომ ლიგის სტატუტს პირათლად ვასრულებთ.. თუ ამაზე შორს წავედით, დომინიონები არ გამოგვეყვებიან, რომლებთანაც ერთგვარ «ერთა ლიგას» შევადგენთო. ამ მსჯელობის მიხედვით ზოგიერთებს ის აზრთიკი დაებადთ ვერცხათ ინგლისი და დანარჩენი ევროპა შეთანხმებულყო! ევ უტოპიაა, რა თქმა უნდა.

ყოველ შემთხვევაში, მთავარი მაინც ისაა, რომ საპირბორბოტო საკითხები დღიურ წესრიგშია და, მეტი ჯანი არაა, ადრე თუ გვიან უნდა გადასურან, რადგან ისინი თვით ცხოვრებისაგანაა დასმული. მათთან მუიდროთ არის დაკავშირებული ეკონომიურ-ფინანსიური კითხვები, რომლის გამო საერთაშორისო კონფერენციაც კი იყო მოწვეული, ლიგის ჰერ ქვეშ.

ერთა ლიგის გავლენა და პრესტიჟი მაინც რომ ზევით იწევს, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მისმა საბჭომ თავიდან ააცილა ევროპას, ერთი თვეა, ახალი კატასტროფა. ჩვენ სახეში გვაქვს ლიტვა-პოლონეთის საშიში დაპირისპირება. მოისპო «საომარი მდგომარეობა» ამ ორ, ისტორიულათ ერთმანეთთან გაღაბმულ, ქვეყნისა.

ალსანიშნავია გერმანიის შემარბებელი როლი: მან არ მოისურვა ამ კონფლიქტის გამოყენება პოლონეთთან თავის დავის გადასაჭრელათ, როგორც ამას მოსკოვი ნატრულობდა, აქედან ლიტვინოვიც იძულებული გახდა ზავის ჰანგზე ამღერებულყო. მეორეს მხრით, მარშალ პილსუდსკის ხანგრძლივი დარბაზობა ცალკალკე ბრიანთან, ჩემბერლენთან და შტრეზემანთან, ცხადია, მარტო ლიტვას არ ეხებოდა. ბევრია იმის ნიშანი ვიფიქროთ, რომ ლაპარაკი იყო გერმანია-პოლონეთის დაახლოებაზე. ეს არის, თუ გნებავთ, უმთავრესი კითხვა, რომელიც აფერხებს ზავის განმტკიცებას ევროპაში.

ერთა ლიგის განიარაღების კომისიის სესიამ საბაბი მისცა მოსკოვს არაჩვეულებრივი დიდი დღეეგაცია გამოეზავნა ქენევაში. რა თქმა უნდა, ლიტვინოვის პრტყელმა დეკლარაციამ განიარაღების სასარგებლოთ «უკანასკნელ სალდათამდე» მზიარულ გუნებაზე დააყენა კომისია, რომლის სახელით მაღლობაც კი უძღვნა ბ. კომისარს პოლ ბოჩუქომა «კარგი ხუმრობისათვის». ლიტვინოვის მიზანი სხვა იყო და ამას კიდევ მიაღწია, ე. ი. ინახულა ბრიანი, ჩემბერლენი და შტრეზემანი. რაც შეეხება «მიღწევებს», პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

ი.რ. წერეთელი შვიციანი.

ი.რ. წერეთელი ეს არის დაბრუნდა შვეციიდან, სადაც ის მიწვეული იყო, თანახმათ სოციალისტურ ინტერნაციონალის დადგენილებისა სააგიტაციოთ ტერორის წინააღმდეგ, იქაურ ს.დემ. პარტიის მიერ. ი.რ. წერეთლის სტოკჰოლმში ჩასვლამდე ძალიან ფართე სამხადისი გაეწიათ პარტიის 4.000 ორგანიზაციასთან ერთად პროფესიულ კავშირებსაც. წერეთელმა მოხსენებები გააკეთა ფრანგულათ შვეციის 14 უმთავრეს ქალაქში, რაიც გაგრძელდა მთელი ერთი თვე, და ესწრებოდა უამრავი ხალხი და იმდენივე დარბაზის გარეთ რჩებოდა. საგანი მოხსენებათა იყო ტერორი მთელს ს. ს. რ. კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში. მოხსენებელმა გამოიყენა მთელი ის მასალები, რომელიც დაგროვილა თანამედროვე ბარბაროსთა ბნელი, ჯოჯოხეთური საქმიანობიდან. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე უკანასკნელათ მიღებულმა მასალებმა საქართველოდან, რომელიც მოთავსდა «ბრძოლა»-ში. დიდი იყო ცდა შვეციის კომუნისტებისა, ნამდვილათ— მოსკოვის აგენტებისა, ჩაეშალათ წერეთლის გამოსვლები, მაგრამ ყველაფერმა ამათ ჩაუარათ მათ. დამსწრე საზოგადოება, რომელშიც, გარდა მუშებისა, მრავალი პოლიტიკური და მწერლობის მოღვაწე ირივნენ, ყველგან მყისვე ჩააჩუმებდა ხოლმე პროვოკატორებს. იყო შემთხვევები, როცა ამ არამზადებს ალაპარაკებდნენ კიდევ, და ისინიც ხსნიდნენ სასაცილო ტყუილების გუდას, როგორიცაა, მაგ., წერეთლის მიერ 100.000 კაცის დახოცვა, ყალბი ჩურჩონცების მოჭრა დეტერდინგთან ერთათ და სხვ. ერთ ერთ მიტინგის თავმჯდომარემ მელოერმა 32 ასეთი ტყუილი ჩამოთვალა, რამაც დაუსრულებელი ხარხარი გამოიწვია ხალხში. ტაშსა და ოვაციებს მეორეს მხრით ბოლო არ უჩნდა მომხსენებლის მიმართ. მიტინგების შინაარსი ილიუსტრაციებით თავსდებოდა, რა თქმა უნდა, არა მარტო სოციალისტურ, ბურჟუაზიულ პრესაშიც. ყოველგან მიღებულ იქნა ბოლშევიკურ რეჟიმის სასტიკათ დამგმობი რეზოლიუციები, და იქვე გამოთქმული იყო მხურვალე თანაგრძნობა ქართველ ერისა და მის პოლიტიკურ ტყვეებისადმი, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე შემოწირულების შეგროვება უკანასკნელთა დასახმარებლათ.

ს ა შ ი ნ ე ლ ე მ ა .

სხვა სახელი არ შეგვიძლია ვუწოდოთ იმ ცნობებს, რომლებიც დაბეჭდილია «ბრძოლის» უკანასკნელ ნომერში და რომლებიც ეხება ქართველ პოლიტიკურ ტუსადებს საქართველოში. ვაუგონარი წამება, დაცინვა, შეურაცხყოფა, ფეხით გათელვა ადამიანის ყოველგვარ ღირსების. თვალწინ გიდგებათ საშუალო საუკუნოები, ინკვიზიცია.

კორესპონდენტი ასახელებს პატიმრების წამების მრავალს მაგალითს. მოვიყვანთ აქ მხოლოდ რამდენიმეს:

«ვლასა ბობოხაძე დაპატიმრეს 1924 წ. ნოემბერში, ჩასვეს ბნელ გაბინჟურებულ სარდაფში, სადაც ულოგინოთ და უპალტოთ გაატარა 38 დღე. პირ-

ველ სუთ დღეს არ აძლევდნენ წყალს, რის გამოც პირში გაუჩნდა ობი და ენის მოძრაობა შეუჩერდა. ამიტომ იძულებული იყო პირი შარდით ესველებია...» — «ყვანია იოსები აწამეს ქუთაისის ჩეკაში, კიდებდნენ ფეხებით მალა და სცემდნენ თოვის ზუმპას...» «ჩუტლაშვილი დავით სუთ დღეს ჩასვეს ფეხადგილში». «ცქიფურიშვილი გიორგი ბნელ სამკუთხედში (სადაც ერთი კაცი ძლივს ეტევა) ყავდათ ჩამწყვდეული ორი თვე, 8 დღის განმავლობაში არ აძლევდნენ არც წყალს, არც პურს». «გუგუშვილი გრიგოლი შიშველი ჩააგდეს საწამებელ ბნელ საკანში, რომელსაც ჭერი ისე აქვს მოწყობილი, რომ თოვლი და წვიმა შედამ ჩამოდის. ხშირად ბაწრით ფიცარზე აბამდნენ და ყინვით შეწუხებულს რომ არ ვყვრია, პირს უტენილენ ჭუჭყიან ჩვრებით». «კიკვიძე მის. წამებისაგან შეირყა ჭკუდან და ახლა საგიჟეთშია». გოგვაძე კირილე ცემით დაამტვრიეს ჩეკის სარდაფში და გარდაიცვალა». «იქავა მარო ზამთარში სრულიად ტიტველი ყავდათ გამომწყვდეული ცივ სარდაფში, ამომშილეს რამდენიმე დღეს». «თალიაშვილი ქარ. დაუზოგავი წამებისაგან დაავადმყოფდა, გაგიყდა და მალე გარდაიცვალა». «ფოცხიშვილი მაქს. დაამწყვდიეს ცივით ამოქვიდილ პატარა საკანში, მიუღეს შიგ წყალი და ასე ყავდათ რამდენიმე დღე». «ბორჩხაძე ნიკ. წაიყვანეს ბანგის წყალზე ზამთარში, ჩაბებს წელში ბაწარი და ჩააგდეს წყალში». «დობორჯგინაძე ილ. მათავსეს საკანში, სადაც წინასწარ შეყარეს თოვლი და ამ თოვლიან-წყლიან საკანში ამყოფეს 12 დღე...»

ასე ებრძვიან მოსკოველი ჯალათები და ქართველი მოღალატენი ქართველ ერს იმისთვის, რომ ის შეურიგებელია, არ სთმობს თავის ღირსებას და თავისუფლებას. ასე ფიქრობენ ბოლშევიკები თავის ბატონობის გაგრძელებაც. მაგრამ ამათ, მათი დამხობის დღე ახლოვდება და მაშინ ისინი წარსდგებიან ხალხის წინაშე პასუხის საგებლად. ხალხის რისხვა მიუზღავს სამაგიეროს დღევანდელ ტანჯვისათვის.

«დამოუკიდებელი საქართველო»

ხელისმომწერათთვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 30 ფრ., ნახევარი წლით 15 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 40 ფრ., ნახევარი წლ. 20 ფრ. ცალკე ნომერი 3 ფრ.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი .

— დეკემბრის 18-ს ქართველთა კოლონიის გამგეობამ გამართა ი. ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 20 წ. შესრულების გამო მისი ხსოვნის აღსანიშნავი დილა, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ე. თაყაიშვილმა წაიკითხა მოგონებანი და ს. ფირცხალავამ, დ. შარაშიძემ და შ. ამირჯიბმა მოხსენებანი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ. სტუდენტთა ხორბმ მშვენიერად შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა.

— დეკემბრის 26 კოლონიის გამგეობამ მოაწყო ქართველ ბავშვებისათვის, შობის ხე.

Redaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Le Gérant : LAGLIÈRE.